საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსამართლოა.

პარასკევი, 13 იანვარი. 2017 წ. №8 (8145), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ბოლომდე თავზე ხელაღებულნი...

„ნაციონალური მოძრაობის“ თვით-მკვლელობა ②

ორი პოლიტიკური ძალლთაპირის გუშინდელი ნაბოდვარიდან:

ნიკა მელია:

— წამსვლელი წავიდა, უბრალოდ ძალიან მოულოდნელი იყო და გაკვირვებული ვართ, რომ პირველი თავიანთი ბრიფინგი ივანიშვილის სტილში ჩაატარეს და მთელი თავიანთი დრო დაუთმეს „ნაციონალური მოძრაობის“ და სააკაშვილის ლანძღვა-გინებას. კიდევ უფრო გასაკვირი იყო, რომ მთელი თავიანთი დრო პირველივე თავიანთ ბრიფინგზე ივანიშვილის ტექსტით ისაუბრეს „ნაციონალურ მოძრობაზე“. ეს კი ნამდვილად ძალიან სამწუხაროა“.

— მთავარი არის ის, რომ „ჩავარდა ივანიშვილის გეგმა“, ენმ დაშლილიყო.

— ძალიან სამწუხაროა, რომ დღეს გვესაუბრებოდა ადამიანი, რომელიც დაიჭირა ივანიშვილმა, გამოუშვა ივანიშვილმა და გაბრაზებული იყო სააკაშვილზე. ბუნებრივია, ძალიან მიჭირს მე ამ ადამიანის მიმართ კომენტარების გაკეთება ბევრი მიზეზის გამო. „ნაციონალური მოძრაობა“ არ არის მხოლოდ პოლიტიკური გაერთიანება და ამიტომ ბევრი რამისგან შევიკავებდი თავს, ვინაიდან ბევრი რამ ხელისგულზე დევს“.

მიხეილ სააკაშვილი:

— ჩვენმა ხალხმა აჩვენა თავისი ძალა და არ დაუშვა „ნაციონალური მოძრაობის“ ხელში ჩაგდებისა და ჩემი პარტიიდან გაშვების ივანიშვილისეული გეგმის განხორციელება.

„განდგომილების“ რაოდენობა დღეს ყველამ ნახა, ხოლო ნაციონალური მოძრაობის მრავალრიცხოვანებასა და ძალაში ყველა დარწმუნდება 20 იანვრის ყრილობაზე. გიგიმ კი, რომელმაც ჩემზე უფრო მეტი ისაუბრა, ვიდრე მის ციხეში ჩამსმელ ოლიგარქზე, ოქრუაშვილი გამახსენა და ადამიანურად შემეცოდა.

დამთავრდა ნაცრის თავზე დაყრა და ლუზერების მმართველობა. პარტია ერთიანი და ძლიერია, როგორც არასდროს ბოლო 4 წლის განმავლობაში, ვინაიდან მისი კონტროლი დაიბრუნა რამდენიმე ათეულმა ათასმა აქტივისტმა.

მომავალში უნდა მივიღოთ კანონი, რომელიც საშუალებას მისცემს ამომრჩეველს, მოტყუების შემთხვევაში უკან გაიხმოს დეპუტატი“...

ნუგზარ ბ. რუხაძის მესამე წერილი ამერიკიდან ⑧

მიხეილ მესხი კაცი — ლეგენდა!

ამბავი თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონისთვის მიხეილ მესხის სახელის მინიჭების თაობაზე

ქარი ვარ ველზე გაჭრილი,
და აბოდები მაბოდებს,
ჯერ აბოდს ვლოცავ, მერე ბურთს,
ჯერ ბურთს და მერე აბოდებს.
არც გარინჩა ვარ, არც პელე,
არც მოყმე, ვეფხვის ნატორი,
ვარ ვინმე მესხი მელექსე,
ბურთის პოემის ავტორი.

ზაურ ბოლქვაძე

⑩

რა იწვევს მოსახლეობის გაღატაკებას?! ③-④

როცა ლარს პატრონი არ ჰყავს, ყველაზე დიდი დამნაშავეები ეროვნული ბანკი და საქართველოს პარლამენტია!

მუშვენიერების ტყვეობაში ⑦

რა ფერისაა სიყვარული, რადიუ?





პორტრეტის უზადო ოსტატი

ალექსანდრე ბაჟბეუკ-მელიქოვი ⑫

„ნაციონალური მოძრაობის“ თვით-მკვლელობა

„პარტია გაყოფილი კი არა, დანგრეულია“ — განაცხადა ციხიდან ახლახან გამოსულმა გიგი უგულავამ, რომელიც კვლავ არ პასუხობს მთავარ კითხვას: მიიღებს თუ არა მონაწილეობას ის და მისი გუნდი (სინამდვილეში სწორედ მისი გუნდია და არა ბოკერიასი) 20 იანვარს დაგეგმილ ყრილობაში.

თვით განცხადების არსი იოლი ამოსაცნობია: **„გაყოფა“ შინაგანი პროცესების შედეგიც შეიძლება იყოს, „დანგრევა“ კი, უმრავლეს შემთხვევაში, გარეგანი ზემოქმედების შედეგია. ანუ უგულავა არა პირდაპირ, ჯერჯერობით დიპლომატიურად, თუმცა მაინც ამბობს, რომ მიშა სააკაშვილმა დაანგრია „ნაციონალურ მოძრაობა“.**

ოღონდ, მიშა ამას ვერ შეძლებდა, თუ არა პარტიული ელიტის ერთი ნაწილის სრულიად უგუნური, უფრო მეტიც, აბსურდული და გიჟური გადაწყვეტილება, - ჩამოეკიდონ პოლიტიკურ გვამს, რომელსაც ამ ქვეყანაში არანაირი პერსპექტივა აღარ აქვს გარდა ერთი, მართლა „კლინიკური“ ალბათობისა: თუ საქართველოში მოხდა მორიგი „რევოლუცია“, „გადატრიალება“, „ამბოხება“ ან ნებისმიერი სხვა ევფემიზმით დეტერმინირებული კიდევ ერთი, მასშტაბური, ანტიკონსტიტუციური „ისტორიული“ მოვლენა.

სხვა შანსი უბრალოდ არ არსებობს: ამ ხალხმა, ვისაც შეიძლება ჰქონდეს იმედი, თითქოს საპარლამენტო უმრავლესობას მოიპოვებენ ოდესმე, მერე ამნისტიას გამოაცხადებენ, მიშას მოქალაქეობას დაუბრუნებენ და ა.შ, ვერაფრის დიდებით ვერ გაიგო ის, რაც მთლიანად დადასტურდა 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე: მიშას ამომრჩევლის უმეტესობა ე.წ. „პროტესტული ელექტორატია“. მაგრამ ამომრჩევლის ეს კატეგორია ქვეყანაში არ შეიძლება უმრავლესობა იყოს, რადგან საპირისპირო შემთხვევაში (ის რომ უმრავლესობა იყოს) საქართველო ქვეყანა კი არა, სომალი იქნებოდა — რუსთაველზე ტანკები იგრუხუნებდნენ, კოცონები ენთებოდა და თავმოკვეთილი გვამები ეყრებოდა.

საბედნიეროდ, ამგვარი ვითარება არ არის. მნიშვნელოვანწილად, იმავე მიშასა და მისი რეფორმების წყალობითაც. მაგრამ არსებობს „ისტორიულად შეუქცევადის“ ცნება, რაც გამოიხატება „ბებერი“ მაქსიმით — „იმავე მდინარეში ორჯერ შესვლის“ შეუძლებლობაზე. ამდენად, **მიშას „დაბრუნება“ კონსტიტუციური გზით სრულიად გამორიცხულია. იგი, თეორიულად, შეიძლება დაბრუნდეს მხოლოდ რევოლუციით, როდესაც საზოგადოების აქტიური, ნაციონარული უმცირესობა ახერხებს, თავს მოახვიოს უმრავლესობას საკუთარი ნება.**

ოღონდ, 2003 წლის „ვარდების რევოლუციისგან“ განსხვავებით, ახლა უკვე „უსისხლო“ ვერ იქნება.

„ნაციონალთა“ მეორე ფრაქცია ცდილობდა, აეხსნა ყოფილი თანამოაზრეებისთვის, რომ **პროექტი „გაუმჯობესებული მიშა“, თვით მიშას მონაწილეობით (და მისი სახელისუფლებო ამბიციის გამორიცხვით) ბევრად პერსპექტიულია პარტიისთვის; ცდილობდა, დაერწმუნებინა, რომ გიგი უგულავას (და არა გიგა ბოკერიას), მით უმეტეს მიშას მხარდაჭერით, აქვს პოტენციალი იქცეს ქარიზმატულ ლიდერად, ხოლო „ნაციონალურმა მოძრაობამ“ შეინარჩუნოს ხელისუფლებაში კონსტიტუციური გზით დაბრუნების პერსპექტივა, რაც სულაც არ გულისხმობს მიშასგან გამიჯვნას და მისი დამსახურების დაკნინებას; მაგრამ ვერაფერს მიაღწია იმიტომ, რომ თვით სააკაშვილი აღმოჩნდა აბსოლუტურად შეურაცხადი ნებისმიერი კომპრომისისა და რაციონალური არგუმენტისათვის.**

თუმცა, აქ ნიშანდობლივი მისი აშკარად ავადმყოფური რეაქცია კი არ არის, არამედ მისი მომხრე ჯგუფის დაჟინება, როდესაც მართლა ველარ ხვდებიან, ველარ ამჩნევენ, რომ ღია განხეთქილება „ნაციონალურ მოძრაობაში“, აშკარა ურთიერთდაპირისპირება, საჯარო ურთიერთბრალდებები, მედია-ისტერიკები, ბოლოს განხეთქილება და გაყოფა ამ პარტიას აქცევს მარგინალურ ორგანიზაციად, როგორიც უამრავია საქართველოში!

არანაირი პერსპექტივა არც ერთ განაყოფს (ერთი მათგანი ალბათ სახელს შეინარჩუნებს, მეორე კი „ევროპულ საქართველოს“ დაირქმევს) აღარ ექნება. გავიხსენოთ, რა დაემართა გაყოფის შემდეგ ოდესღაც უძლიერეს „ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას“: უცვლელი ლიდერის გია ჭანტურიას გარდაცვალების შემდეგ, მათ ვერ მოილაპარაკეს ახალი ლიდერის ვინაობაზე, დასუსტდნენ, დაქუცმაცდნენ, ყოველგვარი „აურა“, ავტორიტეტი, იმიჯი დაკარგეს და ბოლოს, ფაქტობრივად, გაქრნენ პოლიტიკური ასპარეზიდან.

ქართველი ამომრჩევლის მენტალობა ისეთნაირადაა მოწყობილი, რომ გაყოფის შემთხვევაში იგი ორივე მხარისადმი კარგავს ინტერესს; და რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ, რომ „მცირე ჯგუფი“ ტოვებს პარტიას, ეს „მცირე ჯგუფი“ საპარლამენტო ფრაქციის უმრავლესობაა და უკვე ამიტომ ვერ მარგინალიზდება იმდენად, ამომრჩეველმა მხოლოდ ის „მეორე ნაწილი“ აღიქვას „ნაციონალური მოძრაობის“ მემკვიდრედ — სახელის, ბეჭდის, ოფისების და სახელმწიფო დაფინანსების შენარჩუნების მიუხედავად.

მთელ ამ მარაზმატულ ამბავში კიდევ ერთხელ გამოვლინდა თვისება, რომელიც მუდამ, მთელი ისტორიის (არა მხოლოდ უახლესი ისტორიის) განმავლობაში ხელს უშლიდა ნორმალური, ქმედითი, ფუნქციონირებადი ქართული სახელმწიფოს შექმნას: **ქართულ ელიტათა სრული უუნარობა, მიაღწიონ კომპრომისს!**

ანუ, ელიტების, შესაბამისად, მათთან აფილირებული სოციალური ჯგუფების პათოლოგიური, თვისებრივი უკომპრომისობა და „კომპრომისის კულტურის“ სისტემური დეფიციტი: ყოველგვარი რაციონალური გათვლის, თუნდაც საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე პრაგმატული გადაწყვეტილების უკანმოუხედავი „მოკვეთა“ და ჩლუნგი დაპირისპირება ფორმულით „ყველაფერი ან არაფერი“. „უჩვენოდ ვით იმღერეთა“ ანუ Zero sum game — როგორც ანგლოსაქსური ტრადიცია უწოდებს ამ ფენომენს.

ანგლოსაქსებს რომ ისტორიულად ეს ფენომენი არ დაეძლიათ და უძვირფასესი თვისება („კომპრომისის კულტურა“!) არ გამოემუშავებინა მათ ელიტებს, დღეს ისინი ნახევარი მსოფლიოს მმართველები არ იქნებოდნენ.

საქართველოს წინაშე ასეთი ამოცანა არასდროს იდგა: იარსებებს თუ არა ქართული სახელმწიფო საერთოდ — უკვე მართლა იწვევს ეჭვს.

გიორგი ლეჟავა

ბოლომდე თავზე ხელაღებულნი...

„ამ პარტიის დანგრევაზე პასუხისმგებელი არის ერთადერთი ადამიანი, ის ადამიანი, ვინც ეს პარტია შექმნა,“ — განაცხადა გუშინდელ ბრიფინგზე გიგი უგულავამ. მისი თქმით, პოლიტიკოსები არიან მანქანები, რომლებიც ემსახურებიან ადამიანებს და როდესაც ის დაძველდება და ვეღარ ემსახურება ხალხს, ჯართში უნდა გადააგდო. ყველა პოლიტიკოსი ვართ ამ არჩევანის წინაშე, ჩვენ ჩვენი ქმედებებით ვაგებთ პასუხს იმ სიკეთეზე, რაც ჩვენს ხალხს შეიძლება მოვუტანოთ და იმ არასწორ ქმედებებზე, რომელიც ჩვენს ხალხს და ჩვენს ქვეყანას შეიძლება მოვუტანოთ.

ამიტომ კითხვა დღეს არის მარტივად — დიახ მეგობრებო, 2012 წელს ჩვენ ყველანი ჩამოვვარდით კვარცხლბეკიდან და ეს იყო ხალხის გადაწყვეტილება. ამ დავაში და ამ დებატებში მე არ შევალ და ხალხის გადაწყვეტილება ყოველთვის არის სწორი და ჩვენ ეს უნდა მივიღოთ და სწორი დასკვნები გავაკეთოთ“, — განაცხადა უგულავამ.

* * *

ებრძოლო ივანიშვილს, რომელსაც 5 მილიარდი აქვს და ყველა სახელმწიფო აპარატი უზის ჯიბეში, ნიშნავს იყო თავზე ხელაღებული, — განაცხადა თბილისის ყოფილმა მერმა გიგი უგულავამ „ნაციონალური მოძრაობის“ დატოვების შემდეგ. მისივე თქმით, მიხეილ სააკაშვილი არის დღეს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავის პრობლემა.

„არ მიყვარს მიკიბ-მოკიბული საუბარი, ეს ერთი, კვირა რასაც ვაკვირდებოდი, ძალიან მძიმე სურათი დამხვდა და თუ რამე შანსი იყო, რომ პარტიის ერთიანობა შენარჩუნებულიყო, მე მაქსიმუმს დავდებდი და ყველაფერს გავაკეთებდი, რომ ეს პარტია გადარჩენილიყო. ეს პარტია არ შეუქმნია მიხეილ სააკაშვილს, ის იყო ამ პარტიის პირველი თავმჯდომარე, მაგრამ ეს პარტია შექმნა ძალიან ბევრმა თავისუფალმა, ძლიერმა ადამიანმა. ნაწილი მათგანი დღეს ციხეში იმყოფება, მათ შორის პარტიის გენერალური მდივანი. ეს პარტია შექმნა ბევრმა თავზეხელაღებულმა ადამიანმა, იმიტომ, რომ დღეს ებრძოლო ივანიშვილს, რომელსაც 5 მილიარდი აქვს და ყველა სახელმწიფო აპარატი უზის ჯიბეში, ნიშნავს იყო თავზე ხელაღებული. ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ დღეს საქართველოს მთავარი პრობლემა არის ბიძინა ივანიშვილი და მისი არაფორმალური მმართველობა, მიხეილ სააკაშვილი არის დღეს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავის პრობლემა. მიხეილ სააკაშვილი თითოეული ჩვენგანისთვის არის ადამიანური ტკივილი“.

* * *

ე.წ. უგულავა-ბოკერიას ფრთის წარმომადგენლებმა ნაციონალური მოძრაობა“ დატოვეს. უფრო კონკრეტულად, ე.წ. უგულავა-ბოკერიას გუნდში შედიან: გიგი უგულავა, გიგა ბოკერია, დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, აკაკი ბობოხიძე, გიგი წერეთელი, გიორგი გაბაშვილი, გივი თარგამაძე, გიორგი თევდორაძე, გიორგი კანდელაკი, გიორგი ღვინიაშვილი, დავით დარჩიაშვილი, ზაზა კედელაშვილი, ზურაბ ჭიაბერაშვილი, გიორგი ტუღუში, თენგიზ გუნავა, ლაშა დამენია, ირმა ნადირაშვილი, რამაზ ნიკოლეიშვილი, ირაკლი აბესაძე, ლევან თარხნიშვილი, ხათუნა გოგორიშვილი, მიხეილ მაჭავარიანი, ოთარ კახიძე, ტარიელ ლონდარიძე, ვაჟა ჩიტიშვილი, მამუკა ახვლედიანი, ხათუნა ბერძენიშვილი, ახმედ იმამკულიევი და სხვები. ამავე გუნდში არიან ამ პარტიის სიით გასული უპარტიო დეპუტატები: ელენე ხოშტარია, ოთარ კახიძე და სერგი კაპანაძე.

„ნაციონალური მოძრაობიდან“ გასული წევრები საქმიანობას „ევროპულ საქართველოში“ გააგრძელებენ, რომელიც „ნაციონალურ მოძრაობასთან“ საარჩევნო ბლოკის სახით არჩევნებში მონაწილეობდა. აღნიშნულ პარტიას კვალიფიციური სუბიექტის სტატუსი გააჩნია, ის დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს, ცესკოში ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი და კანონით განსაზღვრული ყველა იმ პრივილეგიით სარგებლობს, რაც ე.წ. კვალიფიციურ სუბიექტებს ეკუთვნის.

პარტია „ევროპული საქართველოს“ დამფუძნებელი და ამჟამინდელი თავმჯდომარე ნუგზარ წერეთელია. ის „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის, პარლამენტის ოპოზიციონერი წევრის გიგი წერეთლის მამაა.

აბსოლუტურად გამოვრიცხავ ბოკერიას კავშირს ბიძინა ივანიშვილთან!

ნიკა მელია გამორიცხავს, რომ გიგა ბოკერია ბიძინა ივანიშვილთან „რაიმე კავშირშია“, თუმცა ამბობს, რომ არსებობს ბევრი კითხვის ნიშანი:

„ბუნებაში არ მოიძებნება „ნაციონალური მოძრაობის“ 7 000 წევრი, რომელიც მხარს დაუჭერდა გიგა ბოკერიას. სამწუხაროა, რომ ეს ჯგუფი ტოვებს „ნაციონალურ მოძრაობას“. ახლა გვაქვს ინფორმაცია, რომ ხალხი ჩამოჰყავთ სამცხე-ჯავახეთიდან, სხვადასხვა რაიონიდან და შეიძლება წარმოჩნდნენ, რომ ისინი ბევრი არიან. მათ ნაწილს ვუსურვებ წარმატებას იმ გზაზე, რომელსაც თავად ირჩევენ, მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით ეს გახდება გაერთიანება, რომელიც დაემსგავსება არასამთავრობო ორგანიზაციის გაერთიანებას. ვინაიდან, ძალიან კარგად ვიცნობ ბოკერიას, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ის რამე კავშირშია ბიძინა ივანიშვილთან. ამას აბსოლუტურად გამოვრიცხავ, მაგრამ არის ბევრი კითხვის ნიშანი და მათ შორის მეც მაქვს ბევრი კითხვის ნიშანი განვითარებულ მოვლენებზე“, — განაცხადა მელიამ.

ჩამოირეცხეს სისხლიანი ცხრა წელი...

გიგი უგულავას გუშინდელი განცხადება „ენმ“-ს წევრმა ჩიორა თაქთაქიშვილმა სოციალური ქსელით შეაფასა:

„უგულავამ 15-წუთიანი გამოსვლაში მიშა ლამის 20-ჯერ ახსენა. აი, ყოჩაღ! იმ ბრძენი კაცის რეკორდს მაინც ნუ მოხსნით, ეწყინება, ცოდოა...“

„ჩამოირეცხეს სისხლიანი ცხრა წელი და გაუდგნენ გზას შუშის კოლბისკენ. აბა რა ექნათ, ციხე შიგნიდან ვერ გატეხეს!!“ — წერს თაქთაქიშვილი.

რა ინვევს მოსახლეობის გაღატაკებას?!

როცა ლარს პატრონი არ ჰყავს, ყველაზე დიდი დამნაშავეები ეროვნული ბანკი და საქართველოს პარლამენტია!

ახალი წლის 12 დღეც მიიწურა... ყველას ყურადღება ისევ ლარისკენაა მიპყრობილი – არც არის გასაკვირი, რადგან, ლარის სიცოცხლისუნარიანობა მოსახლეობის მნიშნელოვანი ნაწილის სიცოცხლისუნარიანობაზე გადის!

თვითონ ლარის დევალვაცია, ანუ დოლარის გაძვირება საფრთხეს ნაკლებად შეიცავს. მოსახლეობა ამ პროცესის მიმართ ადაპტირებულია. დიდი საფრთხის შემცველია ის შემთხვევები, როცა ლარის მკვეთრი დევალვაცია, ანუ დოლარის მკვეთრი გაძვირება ხდება და ჩვენი ცხოვრების მკვეთრად გაუარესებას იწვევს.

თუ ლარის მკვეთრ დევალვაციას გადასახადების მკვეთრ ზრდასაც დავუმატებთ, გასაგებია, თუ რატომ ვარდება მოსახლეობის დიდი ნაწილი სასოწარკვეთილებაში და რატომ ეშინია ხვალინდელი დღის.

ლარის დაცემის რამდენიმე მიზეზი არსებობს. უპირველესად, ეს არის სტრუქტურული, ობიექტური და სუბიექტური პრობლემები.

მუდმივად გვესმის კითხვა: **რა ამყარებს ლარს, როცა ქვეყანაში თითქმის არაფერი მუშაობს?!**

მხედველობაშია ის, **თუ როგორ ხერხდება ლარის მსყიდველობითი უნარის და, შესაბამისად, ლარის კურსის შენარჩუნება უცხო ვალუტებთან მიმართებაში? რატომ არ ხდება ლარის მუდმივი დევალვაცია მაშინ, როცა ქვეყანაში თითქმის არაფერი არ მუშაობს და თითქმის ყველაფერს იმპორტულს მოვიხმართ?!**

ისევე როგორც ეროვნული, უცხოური ვალუტაც ისეთივე საქონელია, როგორც ბაზარზე არსებული ნებისმიერი სხვა საქონელი. ამდენად, ლარის კურსი დამოკიდებულია დოლარის მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობაზე: **თუ მიწოდება აღემატება მოთხოვნას, დოლარი იაფდება, ხოლო თუ მოთხოვნა აღემატება მიწოდებას, დოლარი ძვირდება!**

ამრიგად, უცხოური ვალუტის ფასი დამოკიდებულია ადგილობრივ ბაზარზე უცხოური ვალუტის მოთხოვნა-მიწოდებაზე და ეროვნული ვალუტისა და უცხოური ვალუტის თანაფარდობაზე, ანუ ლარის მასაზე.

რა განაპირობებს უცხოური ვალუტის მიწოდებას სავალუტო ბაზარზე, ანუ როგორ შემოდის უცხოური ვალუტა ქვეყანაში?

არსებობს უცხოური ვალუტის ქვეყანაში შემოტანის რამდენიმე ძირითადი გზა:

1. წარმოებული პროდუქციის ექსპორტი ყველაზე კარგი საშუალებაა ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოსატანად.

რაც შეეხება სამუშაო ძალის ექსპორტს, ამ გზით მიღებული უცხოური ვალუტა კარგია, მაგრამ აქვს მრავალი უარყოფითი თანამდევი პროცესი:

სამუშაო ძალის ექსპორტით შემოტანილ უცხოურ ვალუტაში ქვეყანა ძალიან დიდ საფასურს იხდის!

2. უცხოური კრედიტების შემოტანა სავალუტო ბაზარზე ერთჯერად დადებით ეფექტს იძლევა. თუ უცხოური კრედიტები ეკონომიკას განავითარებს და რეალური პროდუქციის შექმნაზე წავა, ეს მხოლოდ დადებით ეფექტებს მოგვცემს. თუ ამ კრედიტებით ისეთ წარმოებებს განვავითარებთ, რომლებიც ქვეყნის ექსპორტსაც გაზრდის, მაშინ, ფაქტობრივად, **ასეთი კრედიტები თავის თავს თვითონ ისტუმრებს** და კოლოსალური დადებითი ეფექტები მოაქვს ქვეყნისთვის, ხოლო **როცა უცხოური კრედიტები სოციალურ პროგრამებს ხმარდება, მიმდინარე პრობლემებს ვწყვეტთ მომავლის მკვეთრი გაუარესების ხარჯზე!**

3. ბუნებრივი რესურსების ექსპორტით მიღებული უცხოური ვალუტა მხოლოდ იმ შემთხვევაში წაადგება ქვეყანას, თუ ამ რესურსით სტრატეგიულ ობიექტებს განვავითარებთ და მათი განვითარებისთვის სხვა საშუალება არ არსებობს. სხვა შემთხვევაში ბუნებრივი რესურსების ექსპორტი იმას ნიშნავს, რომ მიმდინარე საჭიროებებზე უყაირათოდ ვიყენებთ მომავალი თაობების რესურსებს!

4. უძრავი ქონების და ბუნებრივი რესურსების უცხოელებზე გაყიდვა, ანუ უცხოური ინვესტიციები. ინვესტორის ქვეყანაში შემოსვლის დროს შემოტანილი უცხოური ინვესტიციები ერთჯერადად დადებითად მოქმედებს, ხოლო შემდგომ მკვეთრად გამოხატული ქვეყნის დამანგრეველი მრავალჯერადი, უსასრულო, უარყოფითი მოქმედების უნარი გააჩნია.

5. ტურისტების შემოსვლით ქვეყანაში შემოტანილ ვალუტას მხოლოდ მაშინ აქვს ძლიერი დადებითი ეფექტი, როცა უცხოელი ადგილობრივ პროდუქციას და მომსახურებას ყიდულობს. თუ უცხოელი ტურისტი ჩვენ ქვეყანაში იმპორტულ პროდუქციას (საკვებს) ყიდულობს და მომსახურებას უცხოური კომპანიები უწევენ (სასტუმროები, კაფეები, ბარები, სათამაშო ბიზნესები და ა.შ), ტურიზმიდან ქვეყანაში დიდი არაფერი რჩება და უცხოური ვალუტა ქვეყანაში როგორც შემოდის, ისევე გადის!

აქედან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ტურისტების რაოდენობა წელიწადში 1,0 მილიონი იქნება თუ 10,0 მილიონი.

ასეთი „ბიზნესი“ უარყოფითადაც კი მოქმედებს ქვეყანაზე – ისტორიული და კულტურული ძეგლები ზიანდება და მათ აღდგენას მნიშვნელოვანი საბიუჯეტო სახსრები და უცხოური ვალუტა სჭირდება! გარდა ამისა, აუცილებელია ტურიზმისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც ცალკე თანხები ჯდება.

როგორც ვხედავთ, უცხოური ვალუტის ქვეყანაში სტაბილურ შემოტანას პროდუქციის და სამუშაო ძალის ექსპორტი უზრუნველყოფს. მაგრამ როგორც კი სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში ეკონომიკური კრიზისი იწყება ან მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისის ტალღა მოიცავს, ეს ორივე წყარო ყველაზე არასტაბილური ხდება.

რა განაპირობებს სავალუტო ბაზარზე უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნას?

მართალია, სამუშაო ძალის იმპორტი, ჯერჯერობით, ქვეყანას სერიოზულ საფრთხეს არ უქმნის, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ პოზიციით ქვეყნიდან უცხოური ვალუტა მუდმივად გაედინება, შეიძლება, მომავალში სავალუტო ნაკადების გადინება სერიოზულ პრობლემად იქცეს და ეროვნული ვალუტის დევალვაციის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდეს.

ნიშანდობლივია ისიც, რომ უცხოელი ინვესტორების მიერ ყოველწლიურად გასატანი მოგება არა მხოლოდ ლარის დევალვაციის ყველაზე დიდი და ყველაზე საშიში საფრთხეა, არამედ, იგი საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას და საერთოდ ქვეყნის და მისი მოსახლეობის არსებობასაც კი!!!

სამწუხაროდ, მთელ მსოფლიოში უცხოური ინვესტიციები ყველა პრობლემის პანაცეად მიიჩნევა – ყველა ცდილობს, ინვესტიციები საკუთარ ქვეყანაში მიიზიდოს. სინამდვილეში კი ისინი უდიდესი საფრთხის მატარებლები არიან.

დიახ, უცხოური ინვესტიციები ეს არის შავი ხვრელები, რომლებიც დაუნდობლად ისრუტავს ყველაფერს, რაც ქვეყანაშია: უძრავ ქონებას, ბუნებრივ სიმდიდრეებს და სხვა ეკონომიკურ რესურსებს, ეროვნულ და უცხოურ ვალუტებს და ა.შ. უმოწყალოდ მიაქვს ყველაფერი და უკან არაფერს არ აბრუნებს!

ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფაქტორი, რაც უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნას მკვეთრად ზრდის და ეროვნული ვალუტის დევალვაციას განაპირობებს, იმპორტული პროდუქციის მოხმარებაა – როცა ქვეყანაში პრაქტიკულად არაფერი არ იწარმოება და მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სიღარიბეში ცხოვრობს, მკვეთრად ეცემა მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი და ძირითადი მოხმარება პირველადი მოხმარების საქონელზე დაიყვანება.

რაც შეეხება ჩვენი თანამემამულეების მიერ უცხოეთიდან გამოგზავნილ დახმარებებს, ოფიციალური მონაცემებით: საბანკო არხებით უცხოეთიდან გზავნილები წელიწადში 800,00 მილიონ დოლარს შეადგენს. თუ სტატისტიკას დავუჯერებთ, სამუშაოდ გასული მოქალაქე ოჯახში ყოველთვიურად აგზავნის მხოლოდ 40-45 დოლარს, რაც არარეალურია!

ანალიზი ცხადყოფს, რომ ეს ციფრი სულ ცოტა 5-6 ჯერ მეტია, ანუ, თვეში 200-300 დოლარს შეადგენს. აქედან გამომდინარე, ამ გზით ქვეყანაში შემოდის 3,5-5,0 მილიარდი დოლარი.

მაშინ რა ხდება, რატომ აქვს ეროვნულ ვალუტას მუდმივი პრობლემები?

დრო დადგა, განვიხილოთ ის მიზეზები, რის გამოც ეროვნული ვალუტა ასეთ მძიმე მდგომარეობაშია.

როგორც უკვე ვთქვით, არსებობს **სისტემური პრობლემები და ამ პრობლემების არსებობაში მთავარი დამნაშავე კანონმდებელი, ანუ საქართველოს პარლამენტია.**

ჩემი ღრმა რწმენით, საქართველოს პარლამენტია დამნაშავეა იმაში, რაც დღეს ქართულ ლარს მოსდის და რაც აქამდე მოსვლია.

საქართველოს პარლამენტია დამნაშავე იმაში, რომ საქართველოს მოსახლეობა უმძიმეს სიღარიბეშია!

საქართველოს პარლამენტია დამნაშავე იმაში, რაც ქართულ ეკონომიკას დაემართა და ა.შ.

„საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ერთ-ერთი ნათელი მაგალითია იმისა, თუ ქვეყნისთვის რა ძირგამომთხრელ კანონებს იღებენ პარლამენტში!

ეს კანონი ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ არ ადარდებთ ქვეყნის ბედი და მომავალი პარლამენტარებს და თავიანთი ცოდნით თუ უცოდინრობით, შეგნებულად თუ შეუგნებლად, როგორ ანგრევს ქვეყანას მათ მიერ მიღებული კანონები!

ახლა კი ერთ კურიოზზე გავამახვილებ ყურადღებას: კანონის „საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ თანახმად, საქართველოს ეროვნული ბანკი პასუხს არ აგებს ბრუნვაში შეტანილ ფულის მასის ფულად თვისებებზე.

პასუხს არ აგებს ფულის ფუნქციებზე და მათ დაცვაზე.

არ ევალება ეროვნული ვალუტის გამყარება.

პასუხს არ აგებს ეროვნული ვალუტის დევალვაციაზე.

არ არის განსაზღვრული ფულის ემისიის პირობები და პრინციპები.

სებ-ი არაა ვალდებული იფიქროს უცხოური ვალუტის მოზიდვაზე.

არაა ვალდებული გაატაროს ისეთი პოლიტიკა, რაც დაზოგავს ქვეყნიდან უცხოური ვალუტის გატანას.

კანონი სებ-ს არ ავალდებულებს ხელი შეუწყოს ადგილობრივი წარმოების განვითარებას და ამ გზით ეროვნული ვალუტის ადგილობრივი ეროვნული პროდუქციით გამყარებას.

ერთი სიტყვით, ამ კანონის თანახმად, სებ-ი არაფერზე პასუხს არ აგებს!

იხ. 4 გვ.

ვიზალიბერალიზაციის დოკუმენტს თებერვალში განიხილავენ

ევროპარლამენტის LIBE-ს კომიტეტმა საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლას მხარი დაუჭირა. კენჭისყრაში 45-მა დეპუტატმა მიიღო მონაწილეობა. აქედან 42-მა საქართველოს ვიზალიბერალიზაციას მხარი დაუჭირა, 2-მა წინააღმდეგ მისცა ხმა, 1-მა კი თავი შეიკავა.

დოკუმენტის საბოლოოდ განხილვა კი ევროპარლამენტის პლენარულ სხდომაზე მოხდება, რომელიც თებერვალში გაიმართება.

* * *

საქართველოს ვიზალიბერალიზაციის საკითხზე მომხსენებელი, ევროპარლამენტარი მარია გაბრიელი LIBE-ს მიერ, საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მხარდაჭერას „ტვიტერში“ ეხმაურება და აცხადებს, რომ ევროპარლამენტი საქართველოს მხარდაჭერას განაგრძობს.

„საქართველოს ვიზალიბერალიზაციისადმი დიდი უმრავლესობის მხარდაჭერით ევროპარლამენტი აგზავნის მტკიცე სიგნალს, რომ საქართველოს მხარდაჭერას განაგრძობს“, – წერს მარია გაბრიელი.

სასამართლო სისტემის ახალი ინსტიტუტი

სასამართლო სისტემაში დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტი ყალიბდება, რომლის ინსპექტორები კონკურსის წესით შეირჩევიან. ამის შესახებ განცხადება უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის საბჭოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძემ გააკეთა:

„კანონის გარდამავალ დებულებებში გაწერილია უკვე კონკრეტული ვადები. საბჭომ დაიწყო მუშაობა, ჩვენ ამ კვირაშიც გვაქვს სხდომა, სადაც იურიდიულ სამსახურს მიეცემა დავალება, რომ მომზადდეს ის კანონქვემდებარე იურიდიული აქტები, რომლებიც რიგი დებულებების ასამოქმედებლად იქნება საჭირო, მათ შორის დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტის ასამოქმედებლად. მოგეხსენებათ, ის იქნება საჯარო მოხელე, რომელიც კონკურსის წესით განწესდება და, ბუნებრივია, საბჭო მობილიზებულია, რომ კანონის ეს განაწესი სრულყოფილად ვადებში იქნას შესრულებული. ბუნებრივია, გამოცხადდება კონკურსი და კონკურსის წესით მოხდება თანამდებობის დაკავება. კრიტერიუმები ის არის, რომ უნდა იყოს იურისტი და უნდა ჰქონდეს პროფესიული გამოცდილება მინიმუმ 10-წლიანი ვადით მაინც. ჩვენ, ბუნებრივია, დავიცავთ კანონის მოთხოვნებს და ყველა ის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც საჭირო იქნება ამ ინსტიტუტის ასამოქმედებლად საბჭოს მიერ იქნება უზრუნველყოფილი“, – განაცხადა ნინო გვენეტაძემ.

რა იწვევს მოსახლეობის გაღატაკებას?!

(მესამე გვერდიდან)

ამ კანონის თანახმად, იგი არავისგან არ კონტროლდება, პასუხს არ აგებს და არც არავის წინაშე ანგარიშვალდებული არ არის. სებ-ი თვითონ არჩევს სამ საერთაშორისო აუდიტს, საიდანაც პარლამენტი ირჩევს ერთს, რომელიც სებ-ს აუდიტორულ შემოწმებას უტარებს, რაშიც სოლიდურ ანაზღაურებას ღებულობს. სულ ეს არის სებ-ის კონტროლი. ამავე კანონის თანახმად, სებ-ი განთავისუფლებულია ყველა სახის გადასახადისგან!!!

ერთი სიტყვით, რაც არ უნდა გვიკვირდეს, სებ-ი, ზესახელმწიფოებრივი წარმონაძმნია!!!

კანონის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საოცრება და „ლაფსუსი“ ის არის, რომ სებ-ი თვითდაფინანსებაზეა და ფულს აკეთებს, ანუ საკუთარ შემოსავლებს მოიპოვებს ქვეყნის შიდა საფინანსო ბაზარზე — იქ, სადაც სებ-მა წესით, სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკა უნდა გაატაროს!

ზედაპირულადაც თუ შევისწავლით, დავრწმუნდებით, რომ იგი არანაირ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას არ ატარებს და თითქმის ყოველთვის მხოლოდ მოგების მიღების მიზნით მოქმედებს!

ცხადზე ცხადია, რომ სებ-ი სწორ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას ვერ გაატარებს. პირიქით, ძალიან ხშირად იგი ანტიეროვნულად და ანტისახელმწიფოებრივად ისჯება, რაც მხოლოდ უარყოფითად მოქმედებს ლარის სიმყარეზე.

დიახ, ლარი და ლარის ბედი სებ-ს არ აინტერესებს ან რატომ უნდა აინტერესებდეს, როცა მას არავინ არაფერს ავალდებულებს?!

ამრიგად, ლარის არსებული მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზი კანონმდებლობაში დაშვებული უხეში, დანაშაულებრივი შეცდომები და არასწორი კანონია, რომლის მიხედვითაც, ლარზე და მის მდგომარეობაზე არავინ პასუხს არ აგებს!

შეიძლება ითქვას, კანონმდებლის მიერ ლარი ბედის ანაბარაა მიტოვებული და პატრონი არა ჰყავს!

კურიოზია, მაგრამ რეალობაა, რომ კანონით არც ერთი სახელმწიფო უწყება პასუხს არ აგებს ეროვნული ვალუტის — ლარის მდგომარეობაზე. ვერც მოვთხოვთ, მაგალითად, მთავრობას, პასუხი აგოს ლარის მდგომარეობაზე, რადგან მას არა აქვს ეროვნულ ვალუტაზე ზემოქმედების სათანადო ბერკეტები.

როგორც ვთქვი, ასეთი ბერკეტები მხოლოდ სებ-ს აქვს, თუმცა კანონი ლარის სტაბილურობის შესანარჩუნებლად მას, ფაქტობრივად, არაფერს ავალდებულებს!

ახლა კიდევ ერთ პრობლემურ საკითხზე უნდა გადავიდე. ყოველწლიურად სახელმწიფო შესყიდვების მიზნით მრავალი საერთაშორისო ტენდერი ცხადდება და, როგორც წესი, ასეთ ტენდერებს ყოველთვის უცხოური კომპანიები იგებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველწლიურად ასობით მილიონი დოლარი ხელისუფლებას ქვეყნიდან გააქვს, ეს კი პირდაპირ „ურტყამს“ ეროვნულ ვალუტას და, შესაბამისად, სახელმწიფოს ინტერესებს. საერთაშორისო სახელმწიფო ტენდერები არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რაც ინტენსიურად იწვევს ლარის დევალვაციას.

ხელისუფლების ქმედება ამ მიმართულებით, შეიძლება, დანაშაულად დაკვალიფიცირდეს. იგი ქვეყნის ეკონომიკიდან მობილიზებულ და ამოღებულ თანხებს (ანუ, ჩვენგან ამოღებულ თანხებს) ამ ქვეყნის წინააღმდეგ იყენებს.

რას ვგულისხმობ? იმას, რომ უამრავი რამის გაკეთება ადგილობრივ ფირმებს და კომპანიებს შეუძლიათ, რომლებიც ხშირად ხელოვნურად დამძიმებული პირობების გამო ტენდერებში მონაწილეობას ვერ ღებულობენ.

სხვადასხვა მონაცემებით, ყოველწლიურად მარტო ცენტრალური ბიუჯეტიდან 3,0-3,5 მილიარდის საქონელზე და მომსახურებაზე სახელმწიფო შესყიდვები და საერთაშორისო ტენდერები ცხადდება, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას უცხოური კომპანიები იგებენ. მარტო ამ სახით ყოველწლიურად 1,0-1,5 მილიარდ დოლარზე მეტი გაედინება ქვეყნიდან.

სწორედ ეს იწვევს ლარის დევალვაციას და დაუსრულებელ მუდმივ რყევებს. ეს იწვევს საქართველოს ეკონომიკის მუდმივ კრიზისსაც!!!

ეს იწვევს მოსახლეობის გაღარიბებას და გაღატაკებას!!!

ეს პოლიტიკა იწვევს მოსახლეობის საკუთარი ქვეყნიდან და საკუთარი მიწა-წყლიდან აყრას და უცხო ქვეყანაში ლუკმაპურის საძიებლად გადახვეწას!!!

ეს პოლიტიკა წარმოშობს და მუდმივად ზრდის ქვეყნის საგარეო ვალებს!!!

სად არის გამოსავალი?

გამოსავალი საზოგადოების მხრიდან ხელისუფლების საქმიანობაზე კონტროლის გაძლიერებაა. ამასთან, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ლარის კურსის კატასტროფული დაცემა მთავრობის (უფრო კონკრეტულად, სებ-ის) საქმიანობის (თუ უსაქმურობის) შედეგია, რომელსაც ბოლო არა და არ უჩანს!

ნასყიდა დარბაშვილი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

◎ ყველასთვის საჭირო დოკუმენტი

საქართველოს ეროვნული ბანკი:
სესხების გალარების პროგრამა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სესხების გალარების პროგრამის დეტალები გამოაქვეყნა. პროგრამა საქართველოს მთავრობის დადგენილებით 17 იანვრიდან ამოქმედდება.პროგრამა ითვალისწინებს ფიზიკური პირების უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი აშშ დოლარით დენომინირებული საბანკო სესხების ნებაყოფლობით გალარებას, ბანკსა და კლიენტს შორის შეთანხმების საფუძველზე.

რას ნიშნავს საბანკო სესხების გალარების პროგრამა?

პროგრამა ითვალისწინებს ფიზიკური პირების უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი აშშ დოლარით დენომინირებული საბანკო სესხების ნებაყოფლობით გალარებას, ბანკსა და კლიენტს შორის შეთანხმების საფუძველზე;

პროგრამა არის ერთჯერადი პროექტი, რომელსაც ერთობლივად ახორციელებენ საქართველოს მთავრობა და ეროვნული ბანკი.

მთავრობა უზრუნველყოფს შეღავათიანი კურსით სესხების გალარების ხარჯების სუბსიდირებას.

ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს მიაწვდის გალარებისთვის საჭირო აშშ დოლარს და მოახდენს ლარის ლიკვიდობით მხარდაჭერას.

პროგრამა არ ითვალისწინებს ბანკების მიერ დამატებითი ხარჯების გაწევას. სესხების გალარება ნებაყოფლობითია.

ბანკები ვალდებული არიან ამ პროგრამის შესახებ აცნობონ ყველა მსესხებელს, რომელმაც ამ დახმარებით შეიძლება ისარგებლოს და შესთავაზონ მათ თავიანთი პირობები.

მსესხებელს ექნება საშუალება შეთავაზებული პირობებიდან გამომდინარე თავად გადაწყვიტოს რომელ ბანკში ურჩევნია სესხის გალარება. ამის ხელშეწყობისთვის ეროვნული ბანკი გააუქმებს სესხის წინასწარ დაფარვის საკომისიოს.

რა ტიპის სესხებს მოიცავს გალარების პროგრამა?

გალარების პროგრამა შეეხება მხოლოდ საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირების (მათ შორის ინდმეწარმეების) უძრავი ქონებით სრულად ან ნაწილობრივ უზრუნველყოფილ აშშ დოლარის მიმდინარე სესხებს, რომელთა წარმოშობა მოხდა 2015 წლის 1 იანვრამდე. სუბსიდია შეეხება მხოლოდ უზრუნველყოფილ ნაწილს, უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების ბოლო არსებული შეფასებით.

გალარების პროგრამა მოიცავს სესხებს, რომელთა მიმართებაში ბანკი არის (ან პორტირების შემთხვევაში იქნება) პირველი რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორი (იპოთეკარი). ბენეფიციარი პროგრამის ფარგლებში თავისუფლდება უზრუნველყოფის საგნად გამოყენებულ უძრავ ნივთზე უფლების/ვალდებულების (იპოთეკის) რეგისტრაციისთან დაკავშირებული საფასურისგან.

სუბსიდია არ შეეხება მათ, ვისი სესხების ძირითადი თანხების ჯამური დავალიანება 2016 წლის 28 ნოემბრის მდგომარეობით, გამლარებელ ან სესხის გადატანის შემთხვევაში, იმ ბანკში საიდანაც სესხის გადატანა ხდება, აღემატება 100 ათას აშშ დოლარს. ასევე, სუბსიდია არ შეეხება იმ პირებს, რომელთა წლიური შემოსავალი 2015 წელს 100 ათას ლარს აღემატებოდა.

სესხების გალარების პროგრამა დაიწყება 17 იანვარს.

რატომ შეირჩა 2015 წლის 1 იანვარი?

აღნიშნული სქემის მიზანია მომხმარებლებს შევუმსუბუქოთ სესხის მომსახურების ტვირთის ზრდა, რაც გაცვლითი კურსის ცვლილებამ განაპირობა. არსებული გათვლებით, ყველაზე მეტად ეს შეეხო 2015 წლის 1 იანვრამდე გაცემულ სესხებს. მათ ვინც უკვე კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების შემდეგ აიღო სესხი, აღნიშნული ინიციატივა არ ეხებათ, თუმცა მათ აქვთ საშუალება ბანკებს მოელაპარაკონ და გაალარონ სესხები.

რა პროცენტით გასცემს კომერციული ბანკი გალარებულ სესხს?

კომერციული ბანკები გალარებულ სესხებს გასცემენ არსებული საბაზრო პროცენტით. მაგალითად, დღეის მდგომარეობით ლარით გაცემული ცვლად პროცენტიანი იპოთეკური სესხების საბაზრო პროცენტი 10%-ის ფარგლებშია.

რა კურსით მოხდება სესხის გალარება?

სესხების გალარება მოხდება გალარების დღეს არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსს გამოკლებული 20 თეთრი. მაგალითად, თუ აშშ დოლარის მიმართ ოფიციალური გაცვლითი კურსი არის 2.7 ლარი, მაშინ სესხის გალარება მოხდება 2.5 კურსით. კურსთაშორის სხვაობა დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

როგორ მოხდება იმ სესხების სუბსიდირება, რომელთა მოცულობა 40 ათას აშშ დოლარზე მეტია?

ასეთი სესხის სუბსიდირება მოხდება 40 ათასი აშშ დოლარის ფარგლებში. ანუ თუ სესხის ნარჩენი ღირებულება არის 60 ათასი, მოხდება 40 ათასის სუბსიდირება. დარჩენილი 20 ათასი, მსესხებლის გადაწყვეტილების მიხედვით ან კვლავ სავალუტო სესხად დარჩება ან მოხდება მისი გალარებაც სუბსიდირების გარეშე.

შესაძლებელია თუ არა სესხის სხვა ბანკში გალარება?

მსესხებელს ექნება შესაძლებლობა, სესხი გაალაროს იმ ბანკში, რომელიც საუკეთესო პირობებს შესთავაზებს. ამ პროგრამის ფარგლებში მოხვედრილი სესხებისთვის წინსწრებით დაფარვის საკომისიო გაუქმდება.

ეხება თუ არა სუბსიდია იმ სესხებს, რომელიც ლარით, ევროთი ან სხვა ვალუტით იყო გაცემული 2015 წლის 1 იანვრისთვის და მერე მოხდა მისი გადოლარება?

2015 წლის 1 იანვრისთვის სესხი უნდა იყოს მხოლოდ აშშ დოლარით გაცემული. სხვა შემთხვევას სუბსიდია არ ეხება.

შესაძლოა, კომერციულმა ბანკებმა გალარებულ სესხზე შესთავაზონ უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთები და მთავრობის მიერ 20 თეთრის სუბსიდირება არ იყოს საკმარისი ყოველთვიური გადახდების შესამცირებლად?

ლარის სესხი იძლევა სავალუტო რისკისგან დაზღვევის საშუალებას. ლარის და აშშ დოლარი სესხების პროცენტებს შორის სხვაობა არის ის ხარჯი, რომელსაც მომხმარებელი იხდის სავალუტო რისკის დაზღვევისთვის. ისევე როგორც მაგ. ჯანმრთელობის დაზღვევის შემთხვევაში მზად ვართ ნორმალურ პირობებში გავწიოთ ხარჯი, რათა მოულოდნელად, თუნდაც დროებითი ფაქტორის გამო, არ აღმოვჩნდეთ მაღალი გადასახდელების პირობებში. სავალუტო რისკისგან თავს იმიტომ არ ვიზღვევთ, რომ გაუფასურებას ან გამყარებას ველოდებით. შესაბამისად, დაზღვევა უზრუნველყოფს ჩვენ მიერ გაწეული დანახარჯების სტაბილურობისა და პროგნოზირებადობის საშუალებას.

მოახდენს თუ არა გავლენას გალარების პროგრამა გაცვლით კურსზე და ბანკების სავალუტო პოზიციაზე?

სესხების გალარებისთვის აშშ დოლარის საჭირო მოცულობას ეროვნული ბანკი უშუალოდ მიაწვდის კომერციულ ბანკებს. შესაბამისად, ეს არ მოახდენს გავლენას არც გაცვლით კურსზე და არც ბანკების სავალუტო პოზიციაზე.

გალარების პროგრამა გაზრდის თუ არა ფულის მასას?

ამ ოპერაციით ლარის მასა ეკონომიკაში არ შეიცვლება.

იდიოტური თავისუფლება თუ გიჟური პროსტიტუცია?!

პრემიერ-მინისტრის დავალება მიღებულია. შს სამინისტრომ მუშაობა უკვე დაიწყო. შს მინისტრის მოადგილის შალვა ხუციშვილის განცხადებით, მუშაობის შედეგები საჯარო გახდება, თუმცა რა ვადაში, არ დაუკონკრეტებია. გიორგი კვირიკაშვილმა შინაგან საქმეთა მინისტრს დაავალა, გარკვეულ კლუბებსა და ბარებში ადგილობრივი მამაკაცების მიმართ დისკრიმინაციული მიდგომებით დაინტერესდეს.

როგორც პრემიერმა მთავრობის სხდომაზე აღნიშნა, მის ხელთ არსებული ინფორმაციით, „ვარდების მოედნის“ ქვემოთ მდებარე ბარებსა თუ სხვადასხვა ობიექტში ხდება კანონდარღვევები. მისივე განცხადებით, „ღამის კლუბებში, რომლებიც, ძირითადად, კონცენტრირებულია „რესპუბლიკის მოედნის“ ქვეშ, არის ძალიან სამწუხარო რეალობა.

„სრული კატეგორიულობით ვითხოვ ამ პრობლემის მოგვარებას ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო უწყებებისგან. ყველანაირი რეიდების, ძალადობრივი ქმედებების გარეშე, კანონის სრული გამოყენებით და ამოქმედებით, მინდა, რომ ეს პრობლემა იყოს მოგვარებული უმოკლეს პერიოდში.

„თუ ეს არის დახურული ტიპის კლუბი, მაშინ მას უნდა ჰქონდეს განაწესი, რომელიც იქნება საჯარო და ხელმისაწვდომი ყველასთვის, რა კრიტერიუმებით ხდება ადამიანების შერჩევა იქ შესვლისთვის. ხოლო თუ ეს არის ღია, საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტი, მაშინ იგი მთლიანად უნდა დაექვემდებაროს იგივე ანტიდისკრიმინაციულ კანონს და არ დაარღვიოს საქართველოს კანონმდებლობა. იმასაც ვიტყვი, რომ ჩვენ ასეთი არც ტურისტი გვინდა და არც დამატებითი შემოსავალი, რომელიც საქართველოს კანონს არად დაგვიდევს“...

კვირიკაშვილის პოზიციას — შეისწავლონ „ვარდების მოედნის“ ქვემოთ მდებარე ბარებსა თუ სხვადასხვა ობიექტში არსებული სიტუაცია, მხარს უჭერს

თუ ჩვენ ვართ პროსტიტუციის და სათამაშო კლუბების ქვეყანა, მაშინ ყველაფერი წესრიგშია...

მთაწმინდის მაჟორიტარი დეპუტატი **სალომე ზურაბიშვილი.**

„ჩემთვის, როგორც მთაწმინდის მაჟორიტარი დეპუტატისთვის და ასევე ამ უბნის მცხოვრებლებისთვის ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია. ჩემთან მოსახლეობისგან არაერთხელ გამოითქვა წუხილი და უკმაყოფილება შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. მიზანშეწონილად და დროულად მიმაჩნია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეისწავლოს არსებული მდგომარეობა და მოახდინოს რეაგირება“, — აცხადებს სალომე ზურაბიშვილი.

პრემიერ-მინისტრის მიერ დასმულ არასრულწლოვანთა პროსტიტუციის პრობლემაზე მუშაობის პროცესში პირადად ჩართვას გეგმავს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაში, რომლის განცხადებით, პრობლემა ძალიან მნიშვნელოვანია ქართული საზოგადოებისთვის, ვინაიდან არსებობს არასრულწლოვანთა პროსტიტუციის საფრთხე.

პრობლემის მასშტაბურობაზე და არასრულწლოვანთა პროსტიტუციის საფრთხეზე საუბრობს ფსიქოლოგი **რამაზ საყვარელიძე,** რომლის შეფასებით, გაუგებარია, რატომ გახდა ქილიკის საფუძველი მთავრობის მეთაურის მხრიდან საკმაოდ პრობლემურ საკითხზე საუბარი.

როგორც ფსიქოლოგი აცხადებს, პრობლემა შეიძლება საქართველოს მოქალაქეების ფარგლებს და პრემიერის უფლებამოსილების ფარგლებს გასცდეს და უფრო რთული აღმოჩნდეს მისი მოგვარება. საყვარელიძის შეფასებით, სავარაუდოა, რომ პრემიერმა საჯარო განცხადება იმათ გასაგონადაც გააკეთა, ვინც ამ ბიზნესის იმპორტს ეწევა საქართველოში.

„ქილიკი ამ საკითხზე იმდენად უადგილოა, რომ აგურების დიდი რაოდენობა უნდა გვეჭიროს ორივე ხელში. ვფიქრობ, რომ პრობლემა კიდევ უფრო მასშტაბურია, ვიდრე თბილისის ფარგლები. გავიხსენოთ, რომ ანალოგიური პრობლემის თაობაზე ლაპარაკობდნენ აჭარის მცხოვრებლები. შესაბამისად, ეს თემა გეოგრაფიულადაც ქვეყნის მასშტაბით არის მოსაგვარებელი. ამდენად მინისტრთა მთელს კაბინეტს ეხება და არა მარტო ადგილობრივ თვითმმართველობას.

როგორც ფსიქოლოგი აცხადებს, პრობლემის მოგვარება მხოლოდ ბარების დახურვით და შსს-ს ჩარევით ვერ მოგვარდება. აუცილებელია ამ პროცესში ფსიქოლოგების ჩართვაც. თუმცა, უპირველეს ყოვლისა, პრობლემა ეხება ადგილობრივ თვითმმართველობას, ანუ თბილისის მერიამ უნდა მოუაროს ამ პრობლემას.

„თუკი ხელი შეეახო პრობლემის მოგვარებას, ამ რთული საკითხების გადაწყვეტა ქვეყანას მოუწევს ყველა სტრუქტურების ერთობლიობით — განათლების სისტემის, ადგილობრივი თვითმმართველობის, ეკონომიკური პროფილის უწყებების და საზოგადოების ყველა წევრის ერთობლივი ჩართულობით, იმიტომ, რომ აქ უზარმაზარი თანხები ტრიალებს. ამის ხარჯზე არსებობს ეს პროცესი და რაც მთავარია, ვითარდება.



საერთოდ, საქართველომ უნდა მიხედოს იმას, რისი ქვეყანაც ვართ, თუ ჩვენ ვართ პროსტიტუციის და სათამაშო კლუბების ქვეყანა, მაშინ ყველაფერი წესრიგშია. კაზინო თითქმის ყველა ქვეყანაში აკრძალულია, მაგრამ ჩვენთან ყოველ მეორე ქუჩაში არსებობს და რაც მთავარია მოტივირებულია სათამაშო ბიზნესი“, — ამბობს ფსიქოლოგი.

მისივე შეფასებით, სახელმწიფოს უმაღლეს დონეზეა გადასაწყვეტი, ამ ბიზნესს ხელი უნდა შეუწყოს, თუ მოექცეს ისე, როგორც მას ექცევიან ყველა ევროპულ ქვეყნებში, სადაც ცდილობენ, რომ ამ ბიზნესს აარიდონ ახალგაზრდები.

„იგივე მიდგომაა პროსტიტუციასთან დაკავშირებით და როგორც ხშირად, პროსტიტუციამ ამ ბიზნესთან ერთად აიდგა ფეხი და ყოველდღიურად ვითარდება, რაც პრობლემაა და სტრატეგიულად გადასაწყვეტი საკითხია. უნდა გადავწყვიტოთ, რა ტიპის ქვეყანა ვართ, თუ ვართ ქვეყანა, რომელიც ამ გზით შოულობს შემოსავალს, მაშინ, რა თქმა უნდა, ვერც პოლიციით და ვერც კარების დახურვით ამ პრობლემას ვერ გადაწყვიტავთ.

მაგრამ თუ ვაპირებთ, ავიშოროთ ასეთი სამწუხარო პერსპექტივა, მაშინ ყველა ტიპის არარეგალურ ბიზნესს, რომელსაც ნარკომანიის ტიპის ეფექტი აქვს, ხშირ შემთხვევაში უფრო ძლიერი, ვიდრე სათამაშო ბიზნესს და ამას ვუწყობთ ხელს, მაშინ უნდა ვიცოდეთ, რომ სათამაშო ბიზნესისთვის ხელის შეწყობა ნარკომანიის ლეგალიზაციის ექვივალენტურია. და თუ არ აქვს მნიშვნელობა, რა გზით იშოვი ფულს, მერე უკვე მიადგები იმას, რასაც პროსტიტუცია ჰქვია“, — აღნიშნა რამაზ საყვარელიძემ.

თამთა ძარჩავა

ბორდელებთან დაკავშირებით ნარმანიაც გაცხარდა!

პრემიერის განცხადებას ღამის კლუბებთან დაკავშირებით თბილისის მერიც გამოეხმაურა. დავით ნარმანიამ გიორგი კვირიკაშვილის განცხადება შეაფასა, როგორც დროული და აღნიშნა, რომ თუ რამე კანონსაწინააღმდეგო ქმედებას აქვს ადგილი, უნდა აღიკვეთოს. მისივე თქმით, დედაქალაქის მოსახლეობის მხრიდან ამ საკითხზე პერიოდულად ისმის წუხილი.

საბურთალოს ქუჩაზე პოლიციელი დაჭრეს

პოლიციელის **დაჭრის ფაქტზე გამოძიება საქართველოს მთავარმა პროკურატურამ დაიწყო. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობის მცდელობა) მიმდინარეობს. მომხდართან დაკავშირებით, ჯერჯერობით დაკავებული არავინაა. დანაშაულის ადგილას ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობენ და საგამოძიებო მოქმედებები აქტიურად მიმდინარეობს.**

პოლიციელი გვიან ღამით საბურთალოს ქუჩაზე დანით დაჭრეს. ის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას ოპერაცია ჩაუტარდა და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

პრეზიდენტის სიძისა და მისი მეგობრის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია

პრეზიდენტის **სიძის მინდია გოგოჭურის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამჟამად სტაბილურია და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. სტაბილურია ასევე გოგოჭურის მეგობრის მდგომარეობაც. არსებული ინფორმაციით, გოგოჭურს ჭრილობა ცეცხლსასროლი იარაღით ფეხის არეში აქვს მიყენებული, ხოლო მისი მეგობარი ბეჭის არეშია დაჭრილი.**

შეგახსენებთ, რომ მინდია გოგოჭური და მისი მეგობარი თბილისში, ბალანჩივაძის ქუჩაზე ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრეს. მომხდარზე გამოძიება შსს-მ დაიწყო. საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე და 236-ე მუხლებით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვატარებას გულისხმობს.

ყალბ ას და ორმოცდაათლარიანებს ასაღებდნენ

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, სამი პირი დააკავა. გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულები, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა სავაჭრო ობიექტებში სისტემატურად ასაღებდნენ კუსტარულად დამზადებულ ყალბ კუპიურებს, კერძოდ, ახალი მოდიფიკაციის 50-ლარიან და ძველი მოდიფიკაციის 100-ლარიან ბანკნოტებს.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 7 დან 10 წლამდე.

შსს-მ უკანონო იარაღი და ნარკოტიკი ამოიღო

შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს დეტექტივების განყოფილების თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ნარკოტიკული საშუალების, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით 1976 წელს დაბადებული ზ.ძ. თბილისში დააკავეს. სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას მაუზერის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, 6 საბრძოლო ვაზნა და მეტადონის შემცველი სითხე ამოიღეს.

მთავარია, რუსული გაზი არ აფეთქდეს!!!

„გაზპრომმა“ საქართველოს მონეტიზაცია მოახდინა; ქვეყანას გაზის ბალანსში გარღვევა ელოდება

საქართველო ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ მოულოდნელად დათანხმდა მის ტერიტორიაზე გაზის ტრანზიტის გადახდის მონეტიზაციას, თუმცა ადრე ამას უსამართლოდ მიიჩნევდა. ბოლო 16 წლის მანძილზე „გაზპრომი“ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მილსადენის მეშვეობით ენერგონედლეულის სომხეთში გადაქაჩვის საფასურს ნატურალური სახით იხდიდა, რაც თბილისისთვის მომგებიანი იყო, მაგრამ რუსეთს არ აწყობდა. მართალია, ქართული მხარე აცხადებს, რომ ახალი შეთანხმებით გაზის ტრანზიტის საფასური ერთ-ერთი მაღალი იქნება მთელ ევროპაშიო, მაგრამ ექსპერტებს ეჭვი შეაქვთ ამ განცხადებაში და ამბობენ, რომ ძველი პირობების კომპენსირება ახალი შეთანხმებით, გინდაც ეს დაბალ ფასებში გაზის დამოუკიდებელ და დამატებით შესყიდვაში გამოიხატოს, მთლიანად ვერ მოხერხდება.

საქართველოს მთავრობამ 10 იანვარს მინსკში გამართული მოლაპარაკების შედეგად რუსულ „გაზპრომ-ექსპორტთან“ სომხეთისთვის გაზის ტრანზიტის ორწლიანი შეთანხმება გააფორმა, რომლის თანახმად, ტრანზიტის ანაზღაურება ფულით განხორციელდება. ადრე თბილისი ტრანზიტისთვის გადაქაჩული გაზის 10%-ს ღებულობდა (დაახლოებით 300 მილიონ კუბმეტრს წელიწადში). გადახდის ასეთი ფორმა მხარეთა შორის 2001 წლიდან მოქმედებდა და მისი პროლონგაცია-გადახედვა ყოველწლიურად ხდებოდა.

როგორც 11 იანვარს საქართველოს მთავრობის ვიცე-პრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ განაცხადა, „მოლაპარაკების რამდენიმე რაუნდის შედეგად ჩვენ ოპტიმალური წინადადება მივიღეთო“. მან დეტალები არ გაამხილა, თუმცა დარწმუნებით აღნიშნა, რომ საქართველო ახლებური გადახდით თითქმის იგივე შედეგს მიიღებს, რასაც ნატურით გადახდის დროს ღებულობდა, თან ჩვენთვის ტრანზიტის ღირებულება ევროპაში ერთ-ერთი მაღალი იქნებაო. **2017 წელს გადახდა ნაწილობრივ ისევ ძველი ფორმით იწარმოებს (ნატურით), 2018 წლიდან კი მხარეები მთლიანად ფულად ანგარიშზე გადავლენ. მინისტრმა ისიც აღნიშნა, რომ ახალი შეთანხმების მიხედვით, საქართველოს შესაძლებლობა ექნება დამატებითი მოცულობის გაზი უფრო დაბალ ფასში შეისყიდოს — ათასი კუბმეტრი 185 დოლარად, ნაცვლად 215-ისა.**

საქართველო მოხმარებული გაზის ძირითად მოცულობას აზერბაიჯანისაგან ღებულობს, მცირე რაოდენობას კი — სომხეთისათვის რუსული გაზის ტრანზიტისაგან. თბილისს სურდა, გაზი ირანისაგანაც შეესყიდა, თუმცა შემდეგ უარი თქვა, რადგან 2016 წელს აზერბაიჯანულ „სოკარ“-თან ახალი პირობები შეათანხმა 1,5 მილიარდი კუბმეტრი გაზის მოწოდების თაობაზე. საერთოდ, საქართველო წელიწადში დაახლოებით ორ მილიარდ კუბმეტრ ბუნებრივ გაზს მოიხმარს.

რუსეთი დიდი ხანია, მოითხოვდა სატრანზიტო გადახდის მონეტიზაციას, მაგრამ იმ დროს, 2016 წლის დასაწყისში, ამგვარ ვარიანტს თვითონ კახა კალაძე „მიუღებლად“ თვლიდა, იმის მიუხედავად, რომ „გაზპრომი“ საშიში ოპერაციით იმუქრებოდა (ანუ სომხეთი საწვავი გაზით ირანიდან იქნებოდა უზრუნველყოფილი). დღეს კი ბატონი კალაძე ტრანზიტის საფასურის ფულით გადახდას „ოპტიმალურ გადაწყვეტილებად“ მიიჩნევს. სიტუაცია იმაში გამოიხატება, რომ ძველ სატრანზიტო შეთანხმებას ვადა 2016 წლის 31 დეკემბერს გაუვიდა და თუ საქართველო გაზის წილის აღებას კვლავ გააგრძელებდა (ამჯერად უკვე თვითნებურად). თბილისს „გაზპრომის“ მხრიდან სარჩელი ელოდა. თვით „გაზპრომი“ ახალ კონტრაქტის შესახებ რაიმე კომენტარს არ აკეთებს.

საქართველოში გარიგებას ყველა მხარს არ უჭერს. მიხეილ სააკაშვილის ოპოზიციური პარტიის „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა რომან გოცირიძემ შექმნილ მდგომარეობას (ანუ კონტრაქტის გაფორმებას) „სამშობლოს ღალატი“ უწოდა და მიანიშნა, რომ ამ საქმით პირადად მმართველი პარტია „ქართული ოცნების“ დამაარსებელი, მილიარდერი ბიძინა ივანიშვილია დაინტერესებულიო, რომელიც, არაოფიციალური მონაცემებით, „გაზპრომის“ აქციების 1%-ს ფლობს.

გარიგებას არამომგებიანად თვლის პრემიერ-მინისტრის ყოფილი მრჩეველი გიორგი ხუხაშვილიც, რომლის თქმით, „ყველაზე მაღალი ევროპული ფასითაც კი ვერ შეძლებს ქვეყანა იმდენი გაზის შესყიდვას, რამდენსაც მონეტიცაზიამდე იღებდა“. მისი აზრით, ეტყობა, „გაზპრომმა“ „რაღაც საიდუმლო არგუმენტები“ იპოვა ქართულ მხარეზე ზეწოლისათვის და მას „ძალიან კომფორტულ პრაქტიკაზე“ უარი ათქმევინა. ამასთან, ბატონი გიორგი ხუხაშვილი თანახმაა, რომ გაზის ტრანზიტის „ნატურით“ გადახდა „არაცივილიზებული, არაევროპულია“ და საერთაშორისო პრაქტიკას ეწინააღმდეგება“, სამაგიეროდ კი საქართველოსთვის ძალიან მომგებიანია.

როგორც გიორგი ხუხაშვილი თვლის, საქართველოსათვის აზერბაიჯანულ გაზზე „დაყრდნობა“ სრულებით გამართლებულია, მაგრამ ეს მხოლოდ პერსპექტივაში, 2019 წლის შემდეგ, როცა კასპიის პროექტი „შაჰ-დენიზ-2“ შევა ექსპლოატაციაში. ამ მომენტამდე აზერბაიჯანს შეუძლია საქართველოს დახმარება გაუწიოს დეფიციტის აღმოფხვრაში, მაგრამ არა იმდენად, რამდენიც საქართველოს ჭირდება — 2,5 მილიონი კუბმეტრი გაზი დღე-ღამეში. ამიტომაც, თვლის ექსპერტი, საქართველო რუსეთიდან გაზის შეძენას არ შეამცირებს. საკითხავი ისაა, რა მოცულობას ეყოფა ის თანხა, რომელსაც ტრანზიტისთვის „გაზპრომი“ საქართველოს გადაუხდის.

„კომერსანტი“

◎ ჟურნალისტი ისევ აღშფოთებულია!

რაო, მიწასაც მიყიდით?

მიწა ვარ ნიადაგი მენა, ბეჩავი, გლეხად შობილი, მიწაა ჩემი დედამამა, ჩემი და ჩემი ძმობილიო — ასე შეჰღაღადა მშობელ მიწას და ზეცასაც ჩვენმა სულმნათმა პოეტმა.

ჩვენმა დიდმა წინაპარმა, სწორუპოვარმა მიწათმოქმედმა გეორგიანელმა, რომელსაც ცალ ხელში თოხი ეჭირა, ცალ ხელში მახვილი, ინახავდა ოჯახს, იცავდა ქვეყანას, ჰოდა, უძველესზე უძველესმა ერმა, ასე ბრძოლითა და შრომით მოაღწია მოაქჟამამდე, 3 ათასწლოვანი უნიკალური დამწერლობის შემოქმედმა.

ახლა კი, აგერ, ხალხის რჩეული ხელისუფლება, დემოკრატიულობით თავს რომ იწონებს, სისხლითა და ოფლით მორწყულ მიწა-მამულს მიყიდის, ვიღაც გადამთიელზე და ეს კანონიერიაო, გვიმტკიცებენ. არაბ-ინდოელები აკი მოგვიმრავლდნენ... ის კი არა, ლამის გაგვიბატონდნენ, გვიმსახურებენ კიდევაც.

რაო, თქვენ მანდ მამაპაპეულ მიწებს გვიყიდით, თქვე ასეთებო, თქვე ისეთებოო, ამ ორი ათეული წლის წინათ საშოვარზე გადახვწილმა ერთადერთმა ქალიშვილმა, სატანური შრომით რომ ოჯახს გვინახავს, ვიღაც-ვიღაც გადაღრძუებული ბებრების მოვლითა, წვითა და დაგვით ნაშოვნი ფულით... აკი, სახელმწიფოს მესვეურნიც ჯეჯილობენ მათ მიერ გამოგზავნილი დოლარებითა და ევროებით, ჰოდა, შვილმა ერთი ამბავი დამაწია, ადექით, ისევ მოუწყვეთ მიტინგები, ხმა ამოიღეთ და შეაშინეთო!

მთელი ცხოვრება მიტინგზე ვიდექი, 1956 წლის სისხლიანი მარტიდან მოაქჟამამდე. მიშიკოს, ნაძირალას, ჯოხიც მომხვდა, გადავხვეწეთ მოუსავლეთში, მერე რა, ეს მთავრობა გამოგვადგა რო?

არა, მიწა გასაყიდად არ უნდა დავანებოთ, თუ გაყიდვა და ქვეყნის ფეხზე წამოდგომა უნდათ, ათასობით ადამიანის დასაქმება უნდათ, **წყლის ბიზნესს, აკადემიკოს პაატა გიორგაძის მიერ შემოთავაზებულ სასწაულებრივ, ერის გადამრჩენელ ინიციატივას რატომ ჩქმალავენ? სასმელი წყალი, დღეს საკაცობრიო პრობლემად რომ ქცეულა, მსოფლიოს 2,5 მილიარდ ადამიანს ღვთაებრივ ხსნად მოევლინება, ხოლო ჩვენ, ეს ღვთისაგან უხვად, ულევად ბოძებული სიმდიდრე გამოვიყენოთ, სიდუხჭირეს გადავურჩეთ... არა და არა,** სამარისებური დუმილით პასუხობენ აგერ წლებია, უბრალოდ პასუხსაც არ იძლევიან.

არადა, მეცნიერულად დასაბუთებული, უკვე მრავალი სპეციალისტის, აკადემიკოსის მიერ დიდი რუდუნებით გამოკვლეულ-შესწავლილი ეს ბიზნესი წელიწადში მინიმუმ 12 მილიარდ დოლარს მოუტანს ქვეყანას. ეს პროექტი 100 ათას ადამიანს გაუჩენს სამუშაოს.

ამ პრობლემის შესახებ გუშინწინ შესანიშნავად წერდა თქვენს გაზეთში ბატონი იაკობ ლეჟავა.

აი, მიწას თუ გაყიდიან, იმ მიწის ახალმა უცხოელმა მეპატრონემ იქ ჭაბურღილი რომ გათხაროს, საკუთარი წყალი ჩამოასხას, ქვეყნიდან გაიტანოს, ვინმე დაუშლის თუ?

ამას ხუმრობით ვამბობ, მაგრამ... ისეთ ხუმრობას რა ვუთხარი, ნახევარი მაინც სიმართლე რომ არ იყოსო!

გივი ჯახუა,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, რუსთავის საპატიო მოქალაქე

P. S. უფალო ხელისუფალნო, ჯერ მაღალი ღმერთისა და შემდგომ უწმინდესისა და უნეტარესის რჩევას უგდეთ ყური, თორემ ერთიცა და მეორეც თუ შემოგწყრათ, თქვენც ისეთივე, შეიძლება უარესი დღე დაგადგეთ, რა დღეშიც ახლა უკრაინაში შეჩხერილი ნაპრეზიდენტალი საკაანთ ბიჭია. ყველა ყველა, მაგრამ ახლა ერი ამას არ გაპატიებთ. არა თუ თქვენ, თქვენს შთამომავალთაც, ცხოვრება ჯოჯოხეთად გექცევათ.

გ. ჯ.

◎ ეროვნული პროდუქცია

მე და ჩემი ადმინისტრაცია ჩართული ვიქნებით ეროვნული პროდუქციისა და წარმოების წახალისებაში

საქართველოს **პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი „აწარმოე საქართველოში — სწრაფი განვითარებისათვის“ პროგრამის ახალი პლატფორმის პრეზენტაციას დაესწრო და მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართა.**

საქართველოს პრეზიდენტი მიესალმება იმ წამოწყებას, რომელიც ადგილობრივი წარმოების გაძლიერებაზეა ორიენტირებული და აცხადებს, რომ პირადად ჩაერთვება იმ ინიციატივის გაძლიერებაში, რომელიც სამამულო წარმოებას შეუწყობს ხელს.

„ჩვენ ნამდვილად ვერ შევძლებთ კიდევ უფრო გავაღრმაოთ ძალიან ეფექტური ჯანდაცვის პროგრამა, თუ არ იქნება მეტი შემოსავლები. ჩვენ ვერ შევძლებთ გავაღრმაოთ ჩვენი ინვესტიციები განათლებაში, ჩვენ ვერ შევძლებთ უფრო ინტენსიურად დავაფინანსოთ ინფრასტრუქტურული პროექტები, ჩვენ ვერ შევძლებთ ვემსახუროთ ჩვენს საზოგადოებას კიდევ უფრო ეფექტურად, თუ არ იქნება წინ წამოწეული და გაზრდილი ჩვენი ბიზნესის შესაძლებლობები.

შესაბამისად, პასუხი უმრავლეს კითხვაზე, უმრავლეს გამოწვევაზე, რომელიც ჩვენს წინაშე დგას, სწორედ ჩვენი ბიზნესის გაძლიერებაშია“, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა სიტყვით გამოსვლისას.

„აწარმოე საქართველოში — სწრაფი განვითარებისათვის“ ბრენდის ქვეშ გაერთიანდება ეკონომიკის სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტოსა და საქართველოს საპარტნიორო ფონდის მეწარმეობის ხელშეწყობისთვის არსებული პროექტები — „აწარმოე საქართველოში“, ერთიანი აგროპროექტი, მიკრო და მინი გრანტები, „სტარტაპ საქართველო“ და სხვა.

რა ფერისაა სიყვარული, რადიშ?

მხატვარს ერთი სიცოცხლის დრო არ ჰყოფნის



რადიშ თორდიას შემოქმედებას ხელოვნების თაყვანისმცემელნი კარგად იცნობენ. საქართველოს სახალხო მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი და თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიის პროფესორი შემოქმედებით ასპარეზზე გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან გამოჩნდა. მის სახელს არაერთი პერსონალური გამოფენა უკავშირდება. ხელოვანის ნამუშევრები როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმში, გალერეასა და კერძო კოლექციაში ინახება, შესულია მსოფლიო ენციკლოპედიაში, ხოლო რამდენიმე წლის წინ ნიუ-იორკში გამართულ კონკურსში გამარჯვებისათვის „ამერიკის წლის ადამიანის“ წოდება მიენიჭა.

— ბატონო რადიშ, ძალზე მოხარული ვარ, რომ თქვენთან საუბრის საშუალება მომეცა. ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ და ამიტომ დავიწყოთ სულ თავიდან, როგორ გაიხსენებდით ბავშვობას და გახსოვთ თუ არა თქვენი პირველი ნახატი?

— დავიბადე აბაშაში 1936 წლის 21 აგვისტოს. ჩემი მშობლები იყვნენ ვერა ჩოჩია და ტერენტი თორდია. ბავშვობის წლები მეორე მსოფლიო ომის პერიოდს დაემთხვა და ამიტომაც ბავშვობა საკმაოდ მძიმე მქონდა. მაშინ არც ფანქარი იყო და, მით უმეტეს, არც საღებავები. ამისთვის ნახშირსა და გატეხილ აგურს იყენებდნენ.

4-5 წლის ვიქნებოდი, გოგონები ეზოში კლასობანას თამაშობდნენ და ვუყურებდი. მახსოვს ის ემოცია, როცა ძალიან მომინდა, რაღაც დამეხატა და ჩვენი სახლის კედელზე გატეხილი აგურით ერთგვარი კომპოზიცია შევქმენი. დედა ძალიან გამიბრაზდა, მამამ მხარი დამიჭირა. ეს ჩემთვის ხატვის პირველი გაკვეთილები იყო. კარგად მახსოვს ბაბუა ათენ თორდია. იგი გამორჩეულად მკაცრი, მაგრამ კეთილი კაცი იყო. არ მავიწყდება ის შთაბეჭდილება, როცა სრულიად შემთხვევით შევესწარი, თუ როგორ ეფერებოდა ბაბუაჩემი მინდვრის სიფრიფანა ყვავილს. სწორედ ბაბუას ეძღვნება ჩემი გახმაურებული ნამუშევარი „ბაბუაწვერა“.

დროთა განმავლობაში ნახშირმა ფანქარი ჩაანაცვლა— გაირკვა, რომ ხატვა ჩემთვის მხოლოდ გატაცება არ იყო. 14 წლის ვიყავი, როცა შევიტყვე, რომ იაკობ ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებელი შვიდწლედდამთავრებულებს იღებდა. სწავლის გაგრძელების სურვილი მშობლებს გავუმხილე. დედა სასტიკი წინააღმდეგი იყო, მამა კი სერიოზულად დამელაპარაკა და, როცა დარწმუნდა, რომ ჩემი გადაწყვეტილება ურყევი იყო, თბილისში წამომიყვანა. ნიკოლაძის სახელობის სასწავლებელში გადავდგი პირველი ნაბიჯები, როგორც მომავალმა მხატვარმა. სასწავლებელი წითელ დიპლომზე დავამთავრე და სწავლა გავაგრძელე თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, ფერწერის ფაკულტეტზე. იქ ჩემი მასწავლებლები იყვნენ სახელგანთქმული მხატვრები, პროფესორები სერგო ქობულაძე, ვალერიან შუხაევი, უჩა ჯაფარიძე და სხვები. ბედნიერად ვთვლი თავს, რადგან ასეთი პიროვნებებისა და პროფესიონალების გარემოცვაში მიხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა.

სწორედ ჩემს პედაგოგებს ვუმადლი, რომ თავიდანვე მქონდა უკმარისობის გრძნობა და მიღწეულს არასოდეს ვჯერდებოდი. სულ მინდოდა, მესწავლა და შემეძინა რაღაც ახალი, რაღაც „ძალზე მნიშვნელოვანი და საკუთარი“. ამიტომ აკადემიის დამთავრებისთანავე დავიწყე მოგზაურობა, შემოვიარე მთელი საქართველო, ვეცნობოდი ჩვენი ტაძრების შუა საუკუნეების მონუმენტური ფრესკების ოსტატთა ხელოვნებას. ბევრს ვმუშაობდი და იმ პერიოდის შემოქმედების მთავარ თემას სამშობლოს პეიზაჟები წარმოადგენდა.

— ამბობთ: „ფერწერა ფერის ხელოვნებაა, სადაც ფერი მთელი თავისი დიდებულებით განსაზღვრავს ხელოვნების არსს, ისევე, როგორც სიტყვა — პოეზიაში, ბგერა — მუსიკაში, ფორმა ქანდაკებაში და ხაზი— გრაფიკაში“.

— სტუდენტობიდან გამძაფრებული მქონდა ფერის მნიშვნელობა. ის, თავისთავად, სამყაროს უდიდესი მოვლენაა. წარმოიდგინეთ, სამყარო ფერის, ფერადოვნების გარეშე, მხოლოდ შავ-თეთრი, რა უბადრუკი იქნებოდა ადამიანთა ყოფა ასეთ უფერულ, უსახურ ბუნებაში. ფერი ურთულესი ფენომენია, თუმცა ძირითადი ფერი სამია — წითელი, ყვითელი და ლურჯი, მათი გრადაცია კი უსასრულო და ამოუწურავია. ამიტომ ფერის გრძნობა ღვთივბოძებული ნიჭია. ფერი არ არსებობს სინათლის გარეშე, ამიტომაც მისი ინტენსივობა მატულობს იქ, სადაც დიდი მზე და ბევრი სინათლეა და ეს ინტენსივობა მოქმედებს ადამიანის ხასიათზე, მის შინაგან ბუნებაზე, ტემპერამენტზე. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ სამხრეთის ქვეყნების ფერმწერები თავიანთ სურათებში ამ თვისებით გამოირჩევიან.

— მსოფლიოს გენიალურ მხატვრებს შორის ვის გამოარჩევდით?

— გამორჩეულად მიყვარს იტალიელი ლეონარდო და ვინჩი და ნიკო ფიროსმანი. მე შემიძლია ჩავწვდე სხვა უდიდეს მხატვართა ნაწარმოებებს, გავიაზრო მეტ-ნაკლები სრულყოფით, გავაანალიზო მათი ქმნილების სიდიადე, მაგრამ ლეონარდოს მიერ შესრულებული შედევრები სხვა მოვლენაა — ისინი სულ სხვა განზომილებებს ექვემდებარებიან. ამაში მაშინ დავრწმუნდი, როცა მილანში, სანტა მარია დელა გრაციას ეკლესიაში. მისი „საიდუმლო სერობა“ ვნახე, კრაკოვის სახვითი ხელოვნების მუზეუმში კი — მომცრო ტილო „ქალი ყარყუმით“. ახლო მანძილიდან ხილვისას ჩანს, ორივე მათგანი ისეა დაწერილი, რომ ფერწერის თითქმის ყველა კანონს ეწინააღმდეგება, ხოლო ცოტა მოშორებით ხილვისას ნამდვილი სასწაული ხდება — არაამქვეყნიური, მიღმური მშვენიერების სამყაროში აღმოჩნდებით, იმგვარად, რომ ვერც კი იაზრებ, რატომ, რა ნიშან-თვისების გამო ხდება ეს. მეჩვენება, რომ ლეონარდო და ვინჩი არ იყო ჩვეულებრივი მოკვდავი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ის, ალბათ, სხვა სამყაროდან მოგვევლინა დედამიწაზე, დაგვიტოვა ასეთი შედევრები და მერე სადღაც გაუჩინარდა. შემთხვევითი არ არის, რომ გენიალური ლეონარდო თავის ქვეყანაში „ღვთიურ ადამიანად“ აღიარეს.

ნიკო ფიროსმანის გამორჩეული სიდიადე კი უბრალოებაში, სიმართლესა და გულწრფელობაშია, რაც მის შემოქმედებაში ღვთივბოძებული უზომო ნიჭით გამობრწყინდა.

ფიროსმანის გენიალური ქმნილებები ასხივებენ იმ უმთავრეს და შეუცნობად მისტიკურ ძალას, რომლის განსაზღვრება ადამიანის გონებისთვის მიუწვდომელია.

— ბატონო რადიშ, თქვენ სამხატვრო აკადემიის ფერწერის კათედრის პროფესორი ბრძანდებით. ჩვენი ყოფიდან გამომდინარე, ალბათ, დიდია განსხვავება მაშინდელსა და დღევანდელ სამხატვრო აკადემიას შორის, მხედველობაში მაქვს სასწავლო პროცესი.

— განსხვავება ძალიან დიდია. ჩემს დროს ნიკოლაძის სასწავლებელი - 5-წლიანი, ხოლო სამხატვრო აკადემია 6-წლიანი იყო და მომავალი მხატვრები 11 წელი ეუფლებოდნენ პროფესიას. ახლა კი აკადემია 4-წლიანი გახდა და ძირითადი კონტინგენტი პირდაპირ სკოლიდან მოდის. სწავლების დრო შეიზღუდა. მხატვრად ჩამოყალიბებისთვის მთელი რიგი ეტაპებია გასავლელი, კომპოზიცია და ა.შ. რადგან დრო ძალიან ცოტა აქვთ, იწყებენ მხოლოდ ფერებით ხატვას, ანუ პირდაპირ აბსტრაქციას მიმართავენ. ეს იგივეა, რომ ადამიანი გამებს ვერ უკრავდეს და პირდაპირ კონსერვატორიაში დაიწყოს სწავლა. ზოგიერთი შემთხვევითაც ხვდება აკადემიაში, მაგრამ არიან ძალიან მონდომებული და შრომისმოყვარე ახალგაზრდებიც.

— ამბობთ, რომ განწყობას მუსიკა გიქმნით.

— ასე ვარ მიჩვეული ახალგაზრდობიდან, მუსიკის გარეშე ვერ ვმუშაობ. მუსიკას ყველაზე უფრო ფერწერა ერწყმის, რადგან მათი ერთობლიობა რაღაც სხვაგვარ ჰარმონიას ქმნის. როგორი განწყობაც მაქვს იმ დღეს, ისეთ მუსიკას ვირჩევ. ვუსმენ მოცარტს, ბახს, ბეთჰოვენს, ვივალდის, გამორჩეულად მიყვარს ქართული საგალობლები.

— რა არის თქვენთვის ბედნიერება?

— ბედნიერებაა, როცა ჯანმრთელად ხარ, გარშემო ყველა ახლობელი კარგადაა, ქვეყანაში სიმშვიდეა, ზიხარ სახელოსნოში, გაქვს ტილო, საღებავები, ფუნჯები, ხელს არავინ გიშლის, საყვარელი მუსიკა ჩაგესმის და მუშაობ შენთვის. ვიცი მხატვრები, დილიდან საღამომდე რომ იკეტებიან და კარს არავის უღებენ. ეს სწორი გზაა, რადგან მხატვრობა ფრაგმენტული პროცესი არ გახლავთ. ჭეშმარიტად ბედნიერი მაშინ ვიქნები, როცა, ქუჩაში გასული, ბევრ ღიმილიან და ბედნიერ სახეს დავინახავ.

— სიყვარული რა ფერია?

— ერთი ფერის არ არის სიყვარული, რაც არ უნდა კარგი ფერის იყოს. სიყვარული მრავალფერია, რადგან მასში მრავალმხრივი ნიუანსებია — ხან დაგთრგუნავს, ხან გაგახარებს და, ალბათ, ფერიც ამის მიხედვით ეცვლება.

— თქვენს შემოქმედებაში ქალის თემას, როგორც ვხედავ, განსაკუთრებული ადგილი უკავია.

— მთელი ცხოვრება მშვენიერების საიდუმლოს ჭეშმარიტი არსის ძიებაში ვიყავი და ამ გზაზე დავრწმუნდი, რომ ღმერთს არაფერი შეუქმნია იმაზე უფრო მშვენიერი და შთამაგონებელი, ვიდრე ქალი. იგი ჩემთვის ბგერისა და ფერის უნივერსალური ჰარმონიაა და, თუ ღმერთი მასზე უფრო შთამაგონებელს შექმნის, მერე იმას დავხატავ.

— ბოლო წლების ნამუშევრებიდან რომელს გამოარჩევდით?

— „აპოკალიფსი“, „წელიწადის ოთხი დრო“, „ორი ჟირაფი“ და „გოგონა მწვანე კვირტით“.

— დაბოლოს, გვერდს ვერ ავუვლით თქვენს ოჯახს. გაგვაცანით იგი.

— მყავს მეუღლე, მარიამ გველესიანი, ხელოვნებათმცოდნე, პროფესორი, ამჟამად მუშაობს საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. ჩემი შემოქმედების რეალიზაციაში მას დიდი წვლილი მიუძღვის. ასევე მყავს ორი შვილი — რატი თორდია, რომელმაც ფერწერის განხრით დაამთავრა სამხატვრო აკადემია და ქალიშვილი, თეა. მანაც სამხატვრო აკადემია დაამთავრა კერამიკოსის სპეციალობით და მუშაობს ხელოვნების ეროვნულ მუზეუმში მხატვარ-რესტავრატორად.

* * *

P.S. თავად მხატვარს არ უყვარს საკუთარ ხელოვნებაზე საუბარი და მიიჩნევს, რომ მთავარ სათქმელს იგი ნამუშევრებით ამბობს. მისთვის უცხოა თვითკმაყოფილების გრძნობა, არ სჯერდება მიღწეულს და მუდამ ახლის ძიებაშია, ასწავლის სტუდენტებს და მათგანაც ბევრ რამეს სწავლობს, თუნდაც ექსპერიმენტების ახალგაზრდულ სითამამეს და ამბობს: **„იქ, სადაც ახლის ძიება და ექსპერიმენტები მთავრდება, მხატვრის შემოქმედებაც კვდება“.**

დღევანდელი ინტერვიუ მინდა, რადიშ თორდიას სიტყვებით დავასრულო: **„მხატვარს ერთი სიცოცხლის დრო, როგორი ხანგრძლივიც არ უნდა იყოს იგი, არ ჰყოფნის თავისი შესაძლებლობების ამოსაწურად. არ ვიცი, რამდენი სიცოცხლე დამჭირდებოდა ამისთვის და არც მინდა ვიცოდე, რადგან მეორე სიცოცხლეს ამქვეყნად ღმერთი არავის უბოძებს“.**

ესაუბრა
ირინა ტატიშვილი

შეერთებული კი არა, დღეს „დაყოფილი“ შტატების გამაოგნებელი არჩევანი...

ჩავდივარ თუ არა შტატებში, გათენებას არ ვაცლი, ისე ვეტაკები ხოლმე პრესას და ტელეარხებს, აქაურობა რომ უკეთესად შევიგრძნო და შევიყნოსო, როცა ეს შესაძლებლობა მეძლევა ოკეანგაღმა თითო-ოროლა ფრენისას წელიწადში. ჩემს ამერიკელ მეგობრებთან და კოლეგებთანაც ვიცი ხოლმე ლაპარაკი, რამე რომ არ გამომრჩეს ისეთი, მეტ-ნაკლებად საყურადღებო. მე შენ გეტყვი, დაეზარებათ — ოღონდ რამე ათქმევინე იმ მოულოდნელ და უცნაურ პოლიტიკურ ამბებზე, აქ რომ განვითარდა ბოლო დროს.

გამარჯობის თქმა ვერ მოვასწარი, სულმოუთქმელად რომ მითხრეს, ამ საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ კრინტი არ დასძრა, მითუმეტეს, რაიმე კარგის თქმას თუ აპირებ კონსერვატორთა საარჩევნო ტრიუმფის შესახებო. საბჭოთა კავშირში მეტი კი არაფერი ხდებოდა — გვეშინოდა. იმ დღეს, მეზობელმა ტრამპის საარჩევნო სტიკერები მაჩუქა, შემორჩენოდა თურმე ერთი-ორი ცალი. თან სერიოზული სახით გამაფრთხილა, დამიჯერე და მანქანას არ მიაკრა, ლიბერალებითაა სავსე აქაურობა და რამე არ მოგწიონო.

ნაღდად არ მეგონა თუ ასეთ რამეს მოვესწრებოდი ამერიკაში იმის მერე, რაც მაკარტიზმის ციებ-ცხელება გადაიტანა ამ ხალხმა და ქვეყანამ გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში. კლინტონის დამარცხება და ტრამპის გამარჯვება აქ ბევრმა პირადულ საქმედ მიიჩნია და ძალიან ემოციურად აღიქვა, რაც სულაც არ აღმოჩნდა სახუმრო საქმე — ერთი პატარა ნაპერწკალი, შეიძლება, გახდეს ხოლმე ადამიანებს შორის მძაფრი შეხლა-შემოხლის მიზეზი. გახსოვთ, ჩვენთან რომ იყო ოთხმოცდაათიან წლებში? ოჯახები რომ ინგრეოდა პოლიტიკური დაპირისპირების გამო და ძმა ძმას რომ აღარ ინდობდა — აი, ისეთი.

ერთი სიტყვით, მივიღე ეს რჩევა-დარიგება და კიდევ უფრო ხარბად დავეწაფე აქაურ პრესას, რომ სიტუაციის უფრო სწორი აღქმა მქონოდა. სიმართლე გითხრათ, ქართულ მედიაში მაშინ წარმოჩენილი წინასწარმეტყველება და კომენტარები ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ, თუ ვინ გაიმარჯვებდა და ვისი გამარჯვება ერჩია საქართველოს, სრულიად უადგილო აღმოჩნდა. ან როგორ უნდა გვცოდნოდა, ვისი გამარჯვება აჯობებდა ჩვენთვის, როცა თავად ამერიკელებს ვერ გაურკვევიათ, ვისი პრეზიდენტობა ჯობია ამერიკისთვის, და ახლაც გამწარებული დავობენ ამ თემაზე. არავის არა აქვს სრული და ზუსტი წარმოდგენა იმაზე, თუ რა ელის ამერიკას მომავალი ოთხი თუ რვა წლის განმავლობაში.

არასოდეს ასეთი გაურკვეველი არ ყოფილა ამერიკის შეერთებულ შტატებში საპრეზიდენტო არჩევნებით გამოწვეული მოლოდინი, და დროთა ისეთი მსაზღვრელი, როგორიც, შესაძლოა, ეს მოლოდინი აღმოჩნდეს. ვგონებ, სიტყვა „შეერთებული“ ვახსენე. აქ ახლა „დაყოფილის“ ხმარებაა მოდაში. ამერიკის დაყოფილი შტატები! შემძრა ამ მეტაფორამ, რამდენიმე გაზეთსა და ჟურნალში რომ მოვკარი თვალი. ვინ? ვინ გახდება ამერიკის შემდეგი პრეზიდენტი? - საუკუნის ამ შეკითხვამ გამოიწვია ეს საყოველთაო დაყოფა. მაგალითად, საქართველო გაყოფილი იყო იმის მიხედვით თუ ვინ უფრო მეტად დაეხმარებოდა მას რუსეთის გამკლავებაში; ამერიკა გაიყო იმაზე, თუ რომელი კანდიდატი მოუტანდა მას უფრო ეფექტურ ცვლილებას; მსოფლიო დაიყო იმის თაობაზე, თუ ვინ უფრო კარგად უმკურნალებდა ამ მძიმედ დაავადებულ სამყაროს; ამერიკული ოჯახები დაიყო იმის გამო, თუ ვინ იზრუნებდა უკეთ მათ საარსებო კალათაზე; პრინციპში, ამ საყოველთაო დაყოფის მიზეზი აღმოჩნდა ის, რომ ჰილარის კანდიდატურა ყველამ უფრო სერიოზულად აღიქვა, ვიდრე დონის. ხომაა სასაცილო და საკირველი, რომ ყველა ერთნაირად შეცდა?

ახლა კი, გამოფხიზლების და რეალობისთვის თვალის გასწორების დრო დადგა. ვინ იცის, შეიძლება, სულ სხვანაირი ჭიკჭიკი გაისმას დედამიწის ზურგზე ძალიან მალე. რაღა დარჩა, მოსულია 20 იანვარი, ამერიკის ახალი პრეზიდენტის ფიცვერცხლჭამის დრო. ახლებური ჭიკჭიკის ეს ახალი ჰანგი უკვე დაწერილია და მსოფლიოს ორკესტრები ზეპირად სწავლობენ მელოდიას, რომ არაფერი შეეშალოთ შესრულებისას. ნეტავ, მართლა თუ შეცვლის რამეს დონალდ ტრამპი? ნეტავ, მართლა თუ სჯერა თავისივე საარჩევნო მოწოდების — „ისევ დიადი“. ამერიკაზეა ლაპარაკი და მის მიმქრალ სიდიადეზე. ნუთუ, მართლა შეძლებს დღეს არსებული მსოფლიო წესრიგის ხელის ხლებას და გადაკეთებას? ეს ის შეკითხვებია, რომელიც ერთნაირად არ ასვენებს გონებას — ჩვეულებრივსაც და განსაკუთრებულსაც.

კიდევ ცოტაც და ყველაფერს გავიგებთ, მაგრამ ძნელი მოსათმენია — ცნობისმოყვარეობა გვკლავს ყველას ყველგან. არცერთ არჩევნებს არსად მსოფლიოში არ გამოუწვევია ასეთი მასშტაბის უნივერსალური დაინტერესება, თუმცა ეს ერთი ჩვეულებრივი მოვლენაა, რომელიც ერთნაირად ეხება სიყვარულს და სიძულვილს, იმედსა და შიშს, ეჭვსა და რწმენას. ჩვენ ყველანი ვაკეთებთ იდენტიფიკაციას ამ ამერიკულ არჩევნებთან, თითქოს პირადად გვეხებოდა ის. გულგრილი არავინ დარჩენილა, ყველგან ამაზე იყო ლაპარაკი, ყველას ამაზე სურდა აზრის გამოთქმა. დაუჯერებელია, მაგრამ ჭეშმარიტებაა!

ოდნავ თუ ჩაუღრმავდები ამერიკულ პრესას, შეიძლება, მართლა ამოიკითხო იქ ბევრი რამ ისეთი, რაც განმარტავს ამ დაინტერესებას: აწ გარდასულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა ამერიკაში სრულიად გაანადგურა პარტიული ზღვრები — რა, ჩვენთანაც ასე არ მოხდა? გამომჟღავნდა, თუ რას აფასებს ამერიკა მეტადრე — ასეა აქაც. დამთავრდა საქმე, აზრი აღარ აქვს საარჩევნო ხმებზე ლაპარაკს და იმის თვლას და გადათვლას, თუ ვის უფრო მეტი ერგო და რატომ — პირდაპირ ჩვენი ნაარჩევნალი სურათის ასლია. აორთქლდა მდედრობითი სქესის მთავარსარდლის ყოლის იდეა — ხოოოოო, ამაზე ჩვენთან ნამდვილად არ ყოფილა ლაპარაკი, ჯერ პატარები ვართ ამისთვის, ამდენი არ შეგვიძლია ჯერ. პრეზიდენტობის მოსურნეთა წინათმოქმედი თვისებები და მახასიათებლები აღარ მოქმედებს ამერიკაში — ჩვენთან კი! არავის არ ეგონა, რომ ტრამპს ჰქონდა რაიმე ისეთი კვალიფიკაცია, რომელიც მომავალ პრეზიდენტს დაამშვენებდა, მაგრამ ტრამპი მაინც პრეზიდენტია. ამ კომენტარში ხომ არის რაღაც აშკარად მშობლიური ჩვენთვისაც! ქალების საქმე ვერ იქნებაო კარგად ამერიკაში — ჩვენთან არჩევნები ამ საკითხში, ალბათ, დიდს ვერაფერს ცვლის ხოლმე. ახალი მიდგომები ვაჭრობაში და ეკონომიკაში, თითქოს, ეჭვის ქვეშ დგებაო — ამასაც ამბობენ ამერიკელები, მაგრამ ჩვენ ასეთ რამეებს მიჩვეული ვართ და აღარ გვიკვირს.

კიდევ ბევრ რამეს ამბობენ ამ მსხვილი სიურპრიზების ქვეყანაში, მაგრამ სადაა ამდენი ადგილი ამ პატარა სტატიაში, ყველაფერი რომ ჩაეტიოს. ის კი მაინც უნდა ვთქვა, რომ ცნობილმა ამერიკულმა საერთაშორისო გამოცემა Time-მა ამერიკის არჩეულ პრეზიდენტს — არა მოქმედს — 2016 წლის გამორჩეული პიროვნების ტიტული მიანიჭა, გაუსვა რა ხაზი იმას, რომ „ჭეშმარიტება მხოლოდ იმდენადაა ძლიერი, რამდენადაც ძლიერია რწმენა იმ ადამიანში, ვინც ამ ჭეშმარიტებას ღაღადებს“. ოქროს სიტყვებია, პირდაპირ. თან, ჩვენზეც რომაა გამოჭრილი, ისეთი. ჰოდა, გამოდის, რომ ტრამპს სულ ჭეშმარიტება უღაღადია საარჩევნო პერიოდში. რა, არაა მართალი? მაგრამ ვის აინტერესებს მართალი, თუ კაცი ხარ! ან აქ, ან იქ.

ნუგზარ ბ. რუხაძე

ჩვენც სამყაროს ნაწილი ვართ!

დაზვერვის ასეული ავღანეთში გაემგზავრა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირველი ბრიგადის დაზვერვის ასეული მტკიცე მხარდაჭერის მისიის ფარგლებში ავღანეთში, მაზარ-ი- შარიფში ბაზა „მარმალზე“ გაემგზავრა. ასეული საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ და გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ გააცილეს. პირველი ბრიგადის ასეულმა ავღანეთში მეორე ქვეითი ბრიგადის გაძლიერებული ასეული როტაციის წესით ჩაანაცვლა. გაძლიერებული ასეულის პირადი შემადგენლობა, მაიორ მიხეილ მეზვრიშვილის მეთაურობით, შვიდი თვის განმავლობაში ავღანეთში გერმანული სარდლობის დაქვემდებარებაში შეასრულებს საერთაშორისო მისიას.

„დაზვერვის გაძლიერებულმა ასეულმა ხუთი თვის განმავლობაში საუკეთესო წვრთნები გაიარა გერმანიაში და სწორედ გერმანიის სარდლობის დაქვემდებარებაში განახორციელებს აღნიშნულ საერთაშორისო მისიას. მე უკვე ორჯერ ვესტუმრე მაზარ-ი-შარიფს და გერმანელი გენერლებისგან ძალიან მაღალი შეფასება მოვისმინე იმ საქმიანობის შესახებ, რომელსაც ჩვენი სამხედროები ადგილზე ეწევიან. დარწმუნებული ვარ, მტკიცე მხარდაჭერის მისიის ფარგლებში აღნიშნული ასეულის მოღვაწეობა სწორედ იმ სამხედრო ტრადიციების და პროფესიონალიზმის განმტკიცება და გაგრძელება იქნება, რასაც ჩვენი შეიარაღებული ძალები საერთაშორისო მისიის ფარგლებში ასრულებენ და ამ მხრივ ჩვენი პარტნიორებისგან ძალიან მაღალ დონეზე ვართ შეფასებულები“, — განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ.

„მინდა, გზა დავულოცო ჩვენს სამხედროებს და წარმატება ვუსურვო. მათ მეტად მნიშვნელოვანი მისიის შესრულება მოუწევთ მაზარ-ი-შარიფში. ისინი გერმანული კონტინგენტის შემადგენლობაში იქნებიან და მათი ამოცანა იქნება სწრაფი რეაგირება. ჩვენმა ქვედანაყოფმა სულ ახლახან თავი ისახელა აღნიშნული ამოცანის შესრულებისას, როდესაც მათ გერმანული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები თავდასხმისგან უსაფრთხოდ გამოიყვანეს და გადაარჩინეს“, — განაცხადა გენერალური შტაბის უფროსმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ.

პოლონეთმა ამერიკული ტანკების პირველი პარტია მიიღო

პოლონეთში ამერიკული ჯავშანტექნიკისა და თვითმავალი არტილერიის პირველი პარტია შევიდა. ტექნიკასთან ერთად ქვეყანაში 3 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეც განთავსდება, რომლებიც სამხედრო ტექნიკის ექსპლუატაციას უზრუნველყოფენ. აღმოსავლეთ ევროპის ფლანგის გაძლიერების გადაწყვეტილება მოქმედმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მიიღო. ოპერაცია ნატოს ფარგლებში ხორციელდება.

ჰაკერული თავდასხმების უკან ნამდვილად რუსეთი დგას

ამერიკის არჩეულმა პრეზიდენტმა აღიარა, რომ კიბერთავდასხმები რუსეთმა განახორციელა. „დიახ, ვფიქრობ, ეს ნამდვილად რუსეთი იყო, მაგრამ ჩვენზე ჰაკერულ თავდასხმებს სხვა ქვეყნებიც ახორციელებენ, შესაძლოა, ჩინეთიც. ამიტომ, ამ თემაზე ერთი ადეკვატური პასუხი მაქვს. აშშ-ს კიბერუსაფრთხოების საუკეთესო სპეციალისტები ჰყავს და ჩვენი უსაფრთხოება სათანადოდ უნდა უზრუნველვყოთ.

ჩვენი მირონცხებული ხელმწიფენი

ადარნასე

ბაკურის ძე, ქართლის ერისმთავარი სტეფანოზ I-ის შემდეგ, 626 წლიდან. მან დაასრულა მცხეთის ჯვრისა და ტფილისის მშენებლობა.

სტეფანოზ II

ადარნასეს ძე, ქართლის ერისმთავარი VII ს. 40-იან წლებში. მის დროს საქართველოში პირველად მოვიდნენ არაბები. მათთან პირველი ბრძოლები 642 წელს ქართველებმა დიდი წარმატებით მოიგეს. 654 წელს ქართლს არაბთა სარდალი ჰაბიბ იბნ-მასლამა მოადგა დიდი ლაშქრით, ამჯერად სტეფანოზმა მათ მშვიდობიანი შერიგება შესთავაზა. იბნ-მასლამამ ქართველებს „დაცვის სიგელი“ გამოუგზავნა. ქართველებმა ამ „სიგელის“ ძალით ხარკის, ჯიზიათის – კომლზე წელიწადში თითო დინარის გადახდა იკისრეს.

ნერსე I

ქართლის ერისმთავარი სტეფანოზ II-ის შემდეგ, VII ს. 80-90-იან წლებში. 686 წელს სომხები არაბებს აუჯანყდნენ და დახმარება ქართველებს სთხოვეს. ქალაქ დვინის მახლობლად გამართულ ბრძოლაში ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს არაბთა სარდალი.

სტეფანოზ III

ქართლის ერისმთავარი VIII საუკუნის 30-40-იან წლებში. მის დროს განსაკუთრებით გაძლიერდა არაბთა შემოტევები. საქართველოს შემოესია მურვან ყრუ (735-737 წ.წ.). სტეფანოზი თავისი ოჯახით ეგრისში გადავიდა, ციხე-გოჯში ჩადგა. იქვე გარდაიცვალა და მისმა შვილებმა (მირი და არჩილი) ჯერ იქვე დაასაფლავეს, ხოლო შემდეგ არჩილმა მამა ქუთაისში გადაასვენა.

მირი

სტეფანოზ III-ის უფროსი ძე. მურვან ყრუს შემოსევის დროს იგი მამასთან და უმცროს ძმასთან, არჩილთან ერთად, დასავლეთ საქართველოში (ჯერ ეგრისს, შემდეგ აფხაზეთს) გადავიდა. როცა მურვან ყრუ აფხაზეთს მიადგა, მირი და არჩილი ქალაქ ანაკოფიასთან მცირე ჯარით გამოუხდნენ არაბებს, დაამარცხეს და გამოაქციეს ისინი, მაგრამ მირი ბრძოლაში დაიჭრა ფერდში ნაძგერები შუბით. ქართველთა გამარჯვებით გახარებულმა ბიზანტიის კეისარმა ლეონ III-მ მირს სამეფო გვირგვინი და სკიპტრა გამოუგზავნა. ბრძოლაში მიღებული ჭრილობისგან მირი დასნეულდა და გარდაიცვალა. არჩილმა იგი მცხეთას დაკრძალა. მირს ვაჟი არ დარჩენია, 7 ასული ჰყავდა. არჩილმა 6 მათგანი ქართველ ერისთავებს მიათხოვა, მეშვიდე – გურანდუხტი კი – ბიზანტიის კეისარს.

არჩილი

სტეფანოზ III-ის უმცროსი ძე, მურვან ყრუს შემოსევის ჟამს, მამასთან და უფროს ძმასთან მირთან ერთად ჯერ ეგრისს გადავიდა, მერე – აფხაზეთს, იქ, ანაკოფიასთან გამართულ ბრძოლაში ძმებმა არაბები დაამარცხეს და უკუაქციეს. 12 წელიწადი (დაახლოებით 738-750 წ.წ.) არჩილი ქუთაისში იჯდა და თავს სრულიად საქართველოს მეფედ თვლიდა, მაგრამ ქართლი მაინც არაბთა მოხარკე ქვეყანა იყო. არჩილი ქართლს გადავიდა და არაბთაგან აოხრებული ქვეყნის აღდგენას შეუდგა. VIII ს. 60-იან წლებში არაბთა მორიგი ლაშქრობა მოეწყო საქართველოში. არჩილმა მშვიდობიანი მოლაპარაკებით სცადა ქვეყნის გადარჩენა. არაბთა სარდალმა არჩილი ჯერ ცბიერი ლიქნით მიიღო, მერე ქრისტიანობის უარყოფა და მაჰმადიანობის მიღება მოსთხოვა. ხოლო როცა ამაზე უარი მიიღო, შეიპყრო და თავი გააგდებინა. არჩილს 4 ასული (მათ შორის უმცროსი – სილამაზით განთქმული შუშანი) და ორი ძე იოვანე და ჯუანშერი დარჩა. არჩილი ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

ჯუანშერი

არჩილის უმცროსი ძე. როცა არჩილი არაბებმა სიკვდილით დასაჯეს (VIII ს. 60-იან წლები) მისმა ვაჟებმა იოვანემ და ჯუანშერმა საქართველო ორად „გაიყვეს“), დასავლეთ საქართველოში იოვანე გადავიდა დედისა და ორი დის თანხლებით, ხოლო ჯუანშერმა დანარჩენი ორი და დაიტოვა და ქართლ-კახეთის „მეფედ“ დარჩა.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №236, 241, 2.

764 წელს ხაზართა ხაკანმა დიდძალი მხედრობა გამოგზავნა ქართლში სარდალ ბლუჩანის მეთაურობით. ხაზარებში ქართლ-კახეთი აიკლეს და ჯუანშერი ტყვედ წაიყვანეს. იქ 7 წელი დარჩა ტყვეობაში, ბოლოს იგი ხაკანმა დიდი ძღვენით გამოისტუმრა საქართველოში.

ნერსე II

ქართლის ერისმთავარი VIII საუკუნის 70-იან წლებში. 771-772 წ.წ. ქართლ-კახეთში დიდი აჯანყება მოხდა არაბთა შესამუსრავად. ხალიფა მანსურმა „ბოროტ კაცთა შესმენით, აჯანყება ნერსეს დააბრალა, ბაღდადში გაიწვია და საპყრობილეში ჩასვა. სამი წლის შემდეგ (775 წ.) ახალმა ხალიფამ მაჰდიმ ნერსე გაათავისუფლა და ისევ ქართლის ერისმთავრად გამოუშვა, მაგრამ მაჰდიმ ისევ „ბოროტ კაცთაგან“ შეიტყო, რომ ნერსე ახალ აჯანყებას ამზადებდა. ნერსემ ახალ ტყვეობას დაასწრო, ოჯახი აფხაზეთს გაგზავნა, თვითონ ჯერ ხაზარეთს გადავიდა, მერე – აფხაზეთს. აქ მან შეიტყო რომ ხალიფას მის ადგილზე ქართლის ერისმთავრად დაუნიშნავს მისი დისწული სტეფანოზ გურგენის ძე. ნერსე ერისმთავრობას ვეღარ დაუბრუნდა, მხოლოდ ის იკმარა, რომ სტეფანოზმა იგი ხალიფას შეარიგა და აფხაზეთიდან ისევ ტფილისს დააბრუნა.

სტეფანოზ IV

გურგენის ძე, ადარნასე ბაგრატიონის შვილიშვილი. ქართლის ერისმთავარი ნერსე II-ის შემდეგ, 776-784 წლებში. მის დროს, 785 წელს არაბებმა აწამეს აბო თბილელი.

აშოტი

ადარნასე ბაგრატიონის უმცროსი ძე. 786 წლიდან 813 წლამდე თბილისში იჯდა, როგორც ქართლის ერისმთავარი. 810 წელს აშოტმა თბილისიდან განდევნა არაბები. 813 წელს არაბებმა ისევ დაიჭირეს ტფილისი, აშოტი სამხრეთ საქართველოში გადავიდა და მალე ტაო-კლარჯეთში გახელმწიფდა.

ტაო-კლარჯეთის მეფენი

აშოტ I, დიდი, კურაპალატი

საქართველოს ხელახალი გაერთიანების დამწყები, პირველი ხელმწიფე ბაგრატიონთა საგვარეულოდან. 786 წლიდან 813 წლამდე ქართლის ერისმთავარი, 813 წელს, მას შემდეგ, რაც მისგან გათავისუფლებული ტფილისი არაბებმა ისევ დაიჭირეს, აშოტი სამხრეთ საქართველოში გადავიდა, ტაო-კლარჯეთში გახელმწიფდა. სატახტო ქალაქად არტანუჯი გამოაცხადა. აქედან იწყება მისი მეფობა და თავგამოდებული ბრძოლა ქართული მიწების შემოერთება-შემომტკიცებისათვის. 813 წელსვე მან კავშირი შეკრა ბიზანტიის კეისარ ლეონ V-სთან. „კურაპალატის“ ტიტული მიიღო. მთელი სამხრეთ საქართველო შემოიერთა. 818 წელს დასავლეთ საქართველოს მეფესთან თეოდოსი I-თან კავშირში დაამარცხა გრიგოლ კახთა ერისთავი და მისი მოკავშირე ტფილისის არაბი ამირა. ამ გამარჯვებით აშოტმა ისე დაიბრუნა კახეთის ერისთავის გრიგოლ ქორეპისკოპოსისგან ადრე წართმეული ქსნის ხეობა. აშოტი სრულიად ქართლის მფლობელი გახდა. მერე ბარდავიც დაიმორჩილა. 826 წელს სამხრეთ საქართველოს არაბები შემოესივნენ, ქვეყნის შიგნითაც გაჩნდნენ მოღალატენი, რომლებმაც არტანუჯის ტაძარში მოკლეს მეფე აშოტ დიდი, კურაპალატი. შეთქმულთა მეთაურები ყოფილან ვინმე „ორობ მოროზის ძენი“, რომლებიც ხალხმა გაწყვიტა მეფის მკვლელობისთვის. აშოტი ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

ბაგრატ I კურაპალატი

აშოტ I დიდის შუათანა ძე, ქართლის მეფე 826-876 წ.წ. ბაგრატმა მესხეთიდან განდევნა არაბები. 842 წელს ხალიფას ტფილისის ამირა საჰაკ ისმაელის ძე აუჯანყდა და მის წინააღმდეგ ხალიფამ კავშირი ბაგრატს სთხოვა. სამაგიეროდ შიდა ქართლი აღუთქვა. ხალიფამ და ბაგრატმა რეხასთან გამართულ ბრძოლაში განმდგარი ამირა ვერ სძლიეს, ბრძოლა უშედეგოდ დამთავრდა, მაგრამ ხალიფამ აღთქმისამებრ შიდა ქართლი ბაგრატის სამფლობელოებს მაინც შეუერთა. 853 წელს ტფილისის ამირას დასასჯელად ხალიფამ ახალი არაბული მხედრობა გამოგზავნა ბუღა თურქის სარდლობით. ბუღამ კავშირი ისევ ბაგრატ ქართველთა მეფეს სთხოვა. საჰაკ ამირამ კი კავშირი დასავლეთ საქართველოს მეფესთან თეოდოსი II-სთან შეკრა. ბუღა თურქმა ტფილისი აიღო, საჰაკ ისმაელის ძე შეიპყრო და თავი გააგდებინა. ქალაქი საშინლად აიკლო. 50 ათასი ტფილისელი გაწყვიტა. ბუღამ თავისი ერთ-ერთი სარდალი ზირაქი დასავლეთ საქართველოსკენ გაგზავნა, საიდანაც ჯარით უკვე მოეშურებოდა თეოდოსი II, ზირაქს მოკავშირედ ბაგრატ მეფე მიჰყვებოდა ქართული ჯარით. ბრძოლაც ამათი გამარჯვებით დამთავრდა. ბაგრატმა თეოდოსის არგვეთი წაართვა. 876 წ. ბაგრატი გარდაიცვალა. დარჩა სამი ძე: დავითი, ადარნასე და აშოტი.

დავით I კურაპალატი

ბაგრატ I კურაპალატის უფროსი ვაჟი. ქართველთა მეფე 876-881 წლებში. მას ტახტისთვის ეცილებოდნენ: ბიძა გუარამ მამფალი, გუარამის ძე ნასრი და მეორე ბიძის ადარნასეს ძენი – გურგენი, აშოტი და სუმბატი. დავითს დამხმარე ძალად მოუვლინა დიდი ფეოდალი ლიპარიტ ბაღვაში, რომელიც სწორედ იმჟამად არგვეთიდან (კაცხიდან) თრიალეთში – კლდეკარში ჩამოსახლებულიყო. დავითს ხახულის ტაძრის მშენებლობა ახალი დამთავრებული ჰქონდა, როცა მისი მოკვლა მუხანათურად მოახერხა ნასრი გუარამის ძემ (881 წ.). მოკლულ მეფეს მცირეწლოვანი ძე დარჩა, შემდგომში ცნობილი ადარნასე ქართველთა მეფე.

გურგენ I კურაპალატი

ადარნასეს უფროსი ძე (ბაგრატ I-ის უფროსი ძმა). მეფე დავით I-ის მოკვლის შემდეგ ათი წელიწადი (881-891 წ.წ.) იჯდა ქართველთა სამეფო ტახტზე, 888 წელს გურგენი ადარნასე დავითის ძეს ეხმარებოდა მამამისის მკვლელის ნასრი გუარამის ძის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამისთვის მან ახლად გამეფებული ადარნასესგან ჯილდოდ არტაანი მიიღო. ბოლოს მაინც „შეიმტერნენ“ გურგენი და ადარნასე მეფე. არტაანის ხევში გამართულმა ბრძოლამ გურგენს მარცხი და სასიკვდილო ჭრილობა არგუნა (891 წ.).

ადარნასე II კურაპალატი

მეფე დავით I-ის მხოლოდშობილი ვაჟი. როცა მამამისი მოკლეს, ადარნასე მცირეწლოვანი იყო. 7 წლის შემდეგ კი მან დაამარცხა და მოკლა კონსტანტინეპოლიდან ტახტის საძიებლად ჩამოსული ნასრი გუარამის ძე და იმავე წელს ავიდა ტახტზე. ადარნასე II ქართველთა მეფის სახელწოდებით (ადარნასე I-ად იწოდება ბაგრატიონთა დინასტიის პირველი მეფის, აშოტ I დიდის მამა). წინა მეფეს, გურგენ I-ს ადარნასე ჯერ პატივით ეპყრობოდა, ნასრის წინააღმდეგ ბრძოლაში თანადგომისთვის არტანუჯიც უბოძა, მაგრამ ბოლოს მაინც „შეიმტერეს ერთურთს“, რაც გურგენის დაღუპვით დამთავრდა.

904 წელს კონსტანტინე აფხაზთა მეფემ ქართლის დაპყრობა სცადა. ადარნასე და სომეხთა მეფე სუმბატი შეეგნენ და დაამარცხეს. მალე ქართველი და სომეხი მეფეები ერთმანეთს წაეკიდნენ. 914 წელს არაბთა უკანასკნელი დიდი ლაშქრობა მოეწყო სომხეთსა და საქართველოში აბულ ყასიმ აბუსაჯის ძის სარდლობით, ჯერ სომხეთი აიკლეს, უმოკავშირეოდ დარჩენილ სუმბატს თავი გააგდებინეს. შემდეგ ქართლს მოადგნენ კახეთი და ქართლი იავარყვეს. ეს არაბთა უკანასკნელი ლაშქრობა იყო საქართველოში.

ადარნასე II 923 წელს გარდაიცვალა. დარჩა ოთხი ძე: დავითი, აშოტი, ბაგრატი და სუმბატი. არტანუჯის ტახტზე ადის უფროსი ძე დავით II ქართველთა მეფის სახელწოდებით.

დავით II

საქართველოს მეფე 923-937 წ.წ. არტანუჯის მთავარი ციხიდან ჩამოახსნევინა ვიღაც ბიზანტიელი მოხელის მიერ აღმართული ბიზანტიის სახელმწიფო დროშა და ბოდიში მოახდევინა ბიზანტიის კეისარს რომანოზ I-ს. გარდაიცვალა უძეოდ.

ბაგრატ რეგვენი

სუმბატ კურაპალატის ძე. ქართველთა მეფე 937-994 წ.წ. „რეგვენი“ შეარქვეს ყმაწვილობისას გამოუცდელობისთვის. მონაწილეობდა ვალაშკერტის ბრძოლაში არაბთა ამირას მამლანის წინააღმდეგ 990წელს.

შეკრიბა
ალეკო ასლანიშვილმა.

ერისკაცს ამ საუკუნეშიც მტრობენ!

ფინტების მეფეზე, აბა, რა უნდა ვთქვათ ახალი. მტკვრისპირელ გარინჩაზე რომ სტატიები და წიგნები დაწერილა, ტელეგადაცემები მომზადებულა და, უბრალოდ, ეპითეტები გამოთქმულა, მთელ თაობას ეყოფოდა.

როგორც ყველა გენიოსს, მასაც ბევრი მოშურნე უსწრაფებდა როგორც, კონკრეტულად, სპორტულ, ისე, ზოგადად, ამქვეყნიურ სიცოცხლეს. იმპერიის ცენტრში მოკალათებულ „ზემდგომებზე“ რომ აღარაფერი ვთქვათ, არც თანამემამულეთაგან დაჰკლებია კვანტის დადება. რას ვიზამთ, ჩვენ ხომ ქართველები ვართ, გულს რომ გვისერავს თვისტომის ნიჭიერება და ტალანტი.

ჰოდა, მოდით, ამჯერად მხოლოდ სწორუპოვარი მიხეილ მესხის მორიგი მოკვდინების მცდელობაზე დავასველოთ სიტყვა. იქნებ კაცუნებმა გაითვალისწინონ შემოთავაზებული სტრიქონები, მომავალში მაინც რომ მოუფრთხილდნენ საამაყო მამულიშვილთა ნაღვაწ-ნაამაგარსა და ხსოვნას.

პროლოგი

ანუ ამბავი თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონისთვის მიხეილ მესხის სახელის მინიჭების თაობაზე

სულიკო კალანდაძის ნახატი

ფეხბურთის ჩაუქრობელი ვარსკვლავის – მიხეილ მესხის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ ქართულ და რუსულ პრესაში განუმეორებელი მარცხენა გარემარბის შესახებ უამრავი მასალა იბეჭდება, როგორც მისი სპორტული მოღვაწეობის პერიოდში ვიყავით მიჩვეულნი.

საწყენად არ ვამბობ – საბჭოთა კავშირის – მსოფლიოს ამ უდიდესი იმპერიის არც ერთ სპორტსმენზე არ გამოქვეყნებულა ამდენი პუბლიკაცია, ფოტო, შარჟი, მიუძღვნიათ გადაცემა, თუ არ ჩავთვლით „ფეხბურთის ესენინად“ წოდებულ ედუარდ სტრელცოვს.

სპორტის მოყვარულები საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ თხუთმეტ წელზე მეტ ხანს მიდიოდნენ სტადიონზე, რათა საკუთარი თვალით ენახათ უნიკალური მოვლენა ფეხბურთში – მიხეილ მესხი, როგორც მიდიან თეატრში ან კონცერტზე, რათა დატკბნენ შესანიშნავი მსახიობის, მუსიკოსის უბადლო ოსტატობით.

მიხეილ მესხი სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა. ათასობით ფეხბურთის ტრფიალს დაამახსოვრდა იგი, როგორც უდიდესი ოსტატი, რომელსაც თავისი ვირტუოზულობით მაყურებლისათვის დიდი სიხარული მოჰქონდა.

1991 წლის აპრილის ბოლოს, პიროვნება, რომელიც დაუშურებლად უწილადებდა თავის ნიჭს მშობელ ხალხს, მეორედ და სამუდამოდ გამოვიტირეთ. პირველად ეს 1969 წლის 16 ივლისს მოხდა.

მ. მესხის გარდაცვალების შემდეგ, როგორც ცნობილია, საქართველოში ძმათამკვლელი ომი გაჩაღდა. უამრავი ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს, დაიწვა თბილისის ისტორიული ნაწილი და მისი მოსახლეობა უსახლკაროდ დარჩა. ბევრი სხვა ჩადენილი უმსგავსობის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ყოველივეს იმიტომ ვიხსენებ, რომ, ვისაც ევალებოდა მესხის სახელის უკვდავყოფა, ეტყობა, ასეთმა გარემოებამ შეუშალა ხელი. ამ მიზეზით ვცდილობ გავამართლო მათი უმოქმედობა, თუმცა, ფეხბურთის ვირტუოზის დავიწყება წარმოუდგენელი რომ გახლავთ, ეს შემდგომმა მოვლენებმაც ცხადჰყო.

1996 წლის 28 დეკემბერს „შანსში“ გამოქვეყნდა ფეხბურთის ქომაგის ნუკრი ალხაზაშვილის მოსაზრება სათაურით – „მიხეილ მესხის სახელობის“, რომელშიც ცნობილი არქიტექტორი და ხელოვნებათმცოდნე „ლოკომოტივის“ სტადიონისთვის ქართველი ხალხის უსაყვარლესი ფეხბურთელის სახელის მინიჭების საკითხს აყენებდა. შემდგომ წლებში პრესაში უფრო ინტენსიურად იბეჭდებოდა ანალოგიური მოთხოვნა (ვაჟა ჭიაურელი, სპარტაკ ხორნაული, ოთარ ჭითანავა, ამირან ბესელაშვილი, კოკა ცხაკაია, კონსტანტინე გოგიშვილი, ჯემალ ბაღაშვილი, გურამ ქარქაშაძე და სხვ.). გვარებს ვასახელებ წლების მიხედვით ჩემთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე.

1998 წლის მაისში, სტადიონის რეკონსტრუქციამდე, მისი დირექტორის – გივი ჭანტურიძის თხოვნით, ჟურნალისტმა ვაჟა ჭიაურელმა ადგილობრივი რადიო-სტუდიის დიქტორის ფუნქცია შეასრულა და მიკროფონით ასე მიმართა მაყურებელს: დღეს „მიხეილ მესხის“ სახელობის სტადიონზე „ლოკომოტივი“ მასპინძლობს თსუ-ს, რასაც მქუხარე ოვაცია მოჰყვა. მანამდე მას საუბარი ჰქონდა რკინიგზის ხელმძღვანელობასთან და ისინიც კმაყოფილებით შეხვედრიან მოსაზრებას მესხის სახელის უკვდავყოფის შესახებ.

2001 წელს „ლოკომოტივის“ განახლებული სტადიონის გახსნის წინ ჩვენი ინტელიგენციის გარკვეულმა ნაწილმა – ფეხბურთის გულშემატკივრებმა მიმართეს თბილისის მერს ვანო ზოდელავას, რათა განეხილა საკითხი ახლადაშენებული სპორტული არენისათვის მესხის სახელის მინიჭების შესახებ, თუმცა, წერილი უპასუხოდ დარჩა.

და მაინც, საზოგადოებაში იმდენად ძლიერად იყო გავრცელებული ეს აზრი, რომ 26 მაისს, ხალხით გადაჭედილი „ლოკომოტივის“ საზეიმოდ გახსნისას ყველანი სულმოუთქმელად ველოდით, რკინიგზის მაშინდელი თავკაცი აკაკი ჩხაიძე როდის გამოაცხადებდა გადაწყვეტილებას სტადიონისთვის მესხის სახელის დარქმევის შესახებ, თუმცა, ნურას უკაცრავად... მან სრულიად მოულოდნელად (ალბათ, დაავალეს) დამსწრე საზოგადოების წინაშე თქვა, რომ წინადადება შემოაქვს – „ლოკომოტივს“ მიენიჭოს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სახელი.

ჩხაიძის ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულმა მოსაზრებამ აღაშფოთა როგორც სტუმრები, ასევე მთავრობის ტრიბუნაზე მსხდომნიც (რაც იმ დროს, იქ მყოფმა ერთმა ჩემმა მეგობარმა მითხრა მოგვიანებით). მოკლედ, მთელ დუნიაზე მსგავს მლიქვნელობას, თუ არ ჩავთვლით, „ისტორიულ აღმოჩენას“ მზის ჩრდილოეთიდან ამოსვლის შესახებ და თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის ბუშის სახელის მინიჭებას, ვერ ვიხსენებთ. ატყდა გამაოგნებელი სტვენა, ლანძღვა და გინება ტრიბუნებიდან... უამრავმა გულშემატკივარმა დატოვა იქაურობა, მათ შორის მესხის მრავალრიცხოვანმა ოჯახმაც.

თავის გამოსვლაში პრეზიდენტმა შევარდნაძემ თქვა, რომ მომავალმა თაობამ უნდა გადაწყვიტოს, ვისი სახელი მიენიჭოს სტადიონსო. თუმც არა მგონია ქვეყნის პირველ პირს არ სცოდნოდა საზოგადოების განწყობა. პრესაში დაიბეჭდა წერილები უმსგავსო ფაქტთან დაკავშირებით. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ – რომან ბაქრაძის – „ფინტი „ფინტების მეფეს“ ანუ გოლი საკუთარ კარში?!“ მახსოვს, ერთ-ერთი გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში, ცნობილმა რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ, აღნიშნა: „რომელი მარცხენა გარემარბი შევარდნაძე მყავდა, რომ სტადიონს მისი სახელი დარქმეოდაო...“

2001 წლის ივნისში ფეხბურთის ქომაგებმა უკვე ღია წერილით მივმართეთ თბილისის მერს, რომლის სრულ ტექსტს აქვე გთავაზობთ:

„ბატონო ვანო,

ვაკეში სტადიონის გახსნა თბილისელთა ჭეშმარიტ ზეიმად იქცა, მითუმეტეს, რომ ის დაემთხვა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს, მაგრამ ამ ზეიმს ჩრდილიც მიადგა, რაზეც გულისტკივილით მოგახსენებთ: გვეგონა, ახალ სპორტულ არენას დიდი ქართველი სპორტსმენის მიხეილ მესხის სახელს მიაკუთვნებდნენ. ამას კარგა ხანია ველით, რადგან ხალხის უსაყვარლესმა ფეხბურთელმა სწორედ ამ სტადიონის მწვანე მინდორზე გაატარა თავისი საფეხბურთო კარიერის მნიშვნელოვანი ნაწილი. აქვე შედგა მისი გამოსათხოვარი მატჩი. სამწუხაროდ, გახსნისას არ იქნა გამოცხადებული სტადიონისთვის მესხის სახელის მიკუთვნება. საზოგადოებისთვის გაუგებარია, რას მივაწეროთ ეს ფაქტი. მას სიცოცხლეშიც არაერთხელ ატკინეს გული დაუმსახურებლად, ახლაც მის ხსოვნას ნუ მივაყენებთ ჩრდილს.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ფეხბურთის გულშემატკივართა, მიხეილ მესხის განუმეორებელი ტალანტის თაყვანისმცემელთა სურვილი და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება „ლოკომოტივის“ სტადიონისთვის მისი სახელის მიკუთვნების შესახებ.“

2001 წლის ივლისში ანდრო ზოდელავას დახმარებით შედგა შეხვედრა ქალაქის მერთან, რომელსაც გადავეცი ანალოგიური განცხადება. ამ დღიდან მოყოლებული, 2004 წლის შემოდგომამდე, დასახული მიზნის მისაღწევად ძალისხმევას არ ვიშურებდი, რათა გულშემატკივართა დაწყებული საქმე სამართლიანად გადაწყვეტილიყო.

ქალაქის თავთან ჩემს პირველ ვიზიტს მოჰყვა ის, რომ თბილისის მერიის მრჩეველთა საბჭომ განიხილა საკითხი და 2001 წლის 23 ოქტომბერს მოიწონა „ლოკომოტივის“ სტადიონისთვის მიხეილ მესხის სახელის მინიჭება. ამასთანავე, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის ბრძანებულების საფუძველზე სთხოვა „საქართველოს რკინიგზას“ მის დაქვემდებარებაში მყოფი სტადიონისთვის მიენიჭებინა გამოჩენილი ფეხბურთელის სახელი. რკინიგზის თავკაცმა ამჯერად დუმილი არჩია.

2003 წლის ნოემბრის მოვლენების შემდეგ შეიცვალა რკინიგზის ხელმძღვანელობა, რამაც იმედი ჩამისახა... ახალ თავკაცად დაინიშნა ლევან ვარშალომიძე, რომელსაც არ ვიცნობდი და ჩვენს შეხვედრაში გარკვეული როლი რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოს მაშინდელ თავმჯდომარეს ალექსანდრე დანელიას ეკუთვნის. ბატონ ლევანს ყველა საჭირო საბუთით შევხვდი. მან საქმეში კარგად გარკვევა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება აღმითქვა, თანაც ისე, როგორც ამას ფეხბურთის გულშემატკივართა უდიდესი ნაწილი მოითხოვდა.

ერთი სახალისო ამბავიც უნდა გავიხსენო. ლევან ვარშალომიძესთან შესვლამდე ჩემს „ვიზიტთან“ დაკავშირებით რამდენიმე ახალგაზრდა თანამშრომელთან მომიწია „ახსნა-განმარტებითი სამუშაოს ჩატარება“. ერთ-ერთმა მათგანმა, გადაათვალიერა რა ჩემი საკმაოდ სქელტანიანი საქაღალდე, მთელი სერიოზულობით მკითხა: მესხი ვინ იყოო? ყველაფერს ველოდი ამ შეკითხვის გარდა. გავოგნდი, საკუთარ თავს ვიწყნარებდი, საქმე რომ არ გამეფუჭებინა. გაჩუმება ვარჩიე. თუმცა, მწყობრიდან გამოსულმა გამოვართვი საბუთები იმ ჭაბუკს და სასწრაფოდ გავემგზავრე მერიის კულტურის განყოფილებაში (მასთან ფუნქციონირებდა მრჩეველთა საბჭო), რათა ახალი წარდგინება მოგვემზადებინა, სადაც მკაფიოდ ჩაიწერებოდა მ. მესხის რეგალიები. ბადრი ქუთათელაძემ, გაიგო რა ჩემი ხელმეორედ მისვლის მიზეზი, როგორც სჩვევია, უმალ მომიმზადა ახალი საბუთი და ერთ საათში ისევ დავბრუნდი რკინიგზის დეპარტამენტში.

მესხის გულშემატკივართა სამწუხაროდ, ლევან ვარშალომიძე მალე გადაიყვანეს აჭარაში სამუშაოდ, რის გამოც დაწყებული საქმე ვერ დაბოლოვდა.

ლ. ვარშალომიძის ნაცვლად დაინიშნა დავით ონოფრიშვილი, ნაღდი თბილისელი კაცი, ფეხბურთის დიდი დამფასებელი. მასთან შეხვედრამდე აღმოჩნდა, რომ რკინიგზის დეპარტამენტში ადრე მიტანილი დოკუმენტები დაიკარგა. მომიწია ყველა საბუთის აღდგენა, რათა საქმე ადგილიდან დაძრულიყო. უნდა აღვნიშნო ის დახმარება, რომელსაც ყოველდღიურად მიწევდა ჩემი მეგობარი ლადო თოდრია, საბედნიეროდ, იმ პერიოდში საქართველოს რკინიგზაში რომ მუშაობდა.

ჩემთვის მოულოდნელი და ამავე დროს სასიამოვნო იყო თავად ბატონი დავითის სატელეფონო ზარი – მას ყველა საბუთი უკვე ხელთ ჰქონდა და ორ-სამ დღეში შემეძლო მასთან მისვლა. კარგად მახსოვს ის დღე - პარასკევი იყო... ორშაბათს, 2004 წლის 9 აგვისტოს საღამოთი შემეხმიანა ლადო თოდრია და მკითხა: დემიკო, დგახარ, ზიხარ თუ წევხარო? სათქმელს მივუხვდი და ცრემლი მომერია. ამ დღეს შპს „საქართველოს რკინიგზის“ დირექტორთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, „ლოკომოტივის“ სტადიონს მინიჭებოდა მიხეილ მესხის სახელი.

მეორე დღეს ვესტუმრე დავით ონოფრიშვილს, მის მოადგილეებს, ყველას გულითადი მადლობა გადავუხადე მესხის ათასობით თაყვანისმცემლის სახელით და ვთხოვე, რათა თავიანთი გადაწყვეტილი კეთილი საქმე მოსახლეობისთვის თავადვე ემცნოთ. სამახსოვრო ფოტოც გადავიღეთ. დამშვიდობებისას ბატონმა დავითმა მკითხა, რამე ხომ არ არის კიდევ ჩვენგან საჭიროო? მომერიდა, მაგრამ არკადი რაიკინის ერთი პერსონაჟისა არ იყოს, ხელმოწერილი და ბეჭედდასმული დოკუმენტი ვთხოვე, რომელიც საზოგადოებას მომხდარს დაუდასტურებდა. ის „სპრავკა“ იმ პერიოდში ქვას გახეთქავდა, რადგან გულშემატკივართა ერთ ნაწილს მიაჩნდა, რომ ამ საქმიდან ამჯერადაც არაფერი გამოვიდოდა. საბედნიეროდ, შეცდნენ ურწმუნო თომები.

ძვირფასო მკითხველო,

დავით ონოფრიშვილს სადმე თუ შეხვდებით, კიდევ ერთხელ გადაუხადეთ დიდი მადლობა იმისათვის, რომ თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა შეასრულა: ასეთი მნიშვნელოვანი და ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც კიდევ ერთი ნაბიჯია მიხეილ მესხის სახელის უკვდავსაყოფად. მადლიერი გულშემატკივარი ამას არასოდეს დაივიწყებს. 13 აგვისტოს „საქართველოს რკინიგზაში“ მივიღე სანუკვარი გადაწყვეტილების დედანი.

ერთ-ერთი ულამაზესი სტადიონისათვის მიხეილ მესხის სახელის მინიჭება ჩვენმა საზოგადოებამ მხოლოდ 2005 წლის მარტში შეიტყო. მიზეზი ის გახლდათ, რომ „საქართველოს რკინიგზის“ გადაწყვეტილებას, წესით, ქალაქის მერიაში სავალდებულო პროცედურა უნდა გაევლო, ამას კი გარკვეული დრო დასჭირდა.

არ დაგიმალავთ, სამი წლის განმავლობაში თითქმის ყოველდღე ვსტუმრობდი იმ დაწესებულებას, რომელსაც ბავშვობიდან რკინიგზის სამმართველოს ვეძახდით. იქ უკვე შინაურადაც მთვლიდნენ, მითანაგრძნობდნენ, მეხმარებოდნენ, ცოტას ხელსაც მიშლიდნენ თურმე (აბა, რის ქართველები ვართ).

ამ არცთუ პატარა დროში დაღლაც არ მიგრძვნია. მთავარი ის გახლდათ, რომ დაწყებული საქმე ბრწყინვალედ დასრულდა.

ნებისმიერი, მით უმეტეს, ძნელად გასაკეთებელი საქმე რომ გამოგდით ხოლმე, ყოველთვის სიხარულის გრძნობა გეუფლებათ. ჰოდა, მიუხედავად იმისა, რომ 2003 წლის ნოემბრის მოვლენების შემდეგ ოპტიმიზაციის მსხვერპლი გავხდი, მაინც ვცდილობ, ისეთ საქმეს მოვკიდო ხელი, რომელიც სამშობლოს წაადგება და მეც სიამოვნებას მომგვრის.

ყოველივე, რაც ზემოთ ძალიან მოკლედ მოგახსენეთ, ერთ მიზანს ისახავს – არ მინდა დაიკარგოს ქართული ფეხბურთის ისტორიაში ეს არცთუ უმნიშვნელო მოვლენა. მიხეილ მესხი ხომ ჩვენი ისტორიის განუყოფელი ნაწილია.

დემიკო ლოლაძე

განცხადება

აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს თეონა ხარშილაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** თეონა ხარშილაძე (პ/ნ 28001112660), მარნეულის რაიონი, სოფელი წერეთელი.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: მარნეულის რაიონი, სოფელი წერეთელი (საკადასტრო კოდი: 83.04.08.591).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთზე რეგისტრირებულია ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ გარდამავალი იპოთეკის უფლება ღირებულებით 0 ლარი.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 19943.76 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 13 იანვარი, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 26 იანვარი, 15:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:**
განაცხადის №71271HZP39368216;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 393682

6. **მოვალე:** მურმან ხარშილაძე (პ/ნ 28001006516), მარნეულის რაიონი, სოფელი წერეთელი;
თეონა ხარშილაძე (პ/ნ 28001112660), მარნეულის რაიონი, სოფელი წერეთელი.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP39368216; ლოტის ნომერი: 393682).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 25 იანვრის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
სულხან-საბას ქ. №3. 293-13-34; 599 797679

ბიძინა ივანიშვილმა აჭარიდან ხეების გადარგვა განაახლა

აჭარიდან ბიძინა ივანიშვილის მიერ შერჩეული და შესყიდული მრავალწლოვანი ხეების გურიაში, კერძოდ კი შეკვეთილში გადატანის პროცესი მალე განახლდება. ჩაქვიდან, ბუკნარიდან, ციხისძირიდან რამდენიმე ძირ ხეს ამზადებენ გადასატანად – მაგნოლიები, ტიტას ხეები, ჭადარი და სხვ. ხეების გატანის მიზნით, რამდენიმე მიმართულები გზები გაჰყავთ. სპეციალისტების შეფასებით, ეს პროცესი შეიცავს ციხისძირში ლანდშაფტის დაზიანების რისკებს.

ხეების გადატანაზე კვლავ კომპანია „ზიმო“ მუშაობს. კომპანიაში არ აზუსტებენ, რამდენი ძირი ხის გადატანაა კიდევ დაგეგმილი და რა თანხა იხარჯება ხეების გატანასა თუ გზების კეთებაზე: „ბევრია. ძირითადად კერძო მესაკუთრეების ტერიტორიებზე“.

ყოფილი პრემიერ-მინისტრი შეკვეთილში დენდროლოგიურ პარკს აშენებს.

„გაძვირება ტარიფის შეუცვლელად?“

ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს, ანუ ასე მეწარმეობა დაიღუპება

7 იანვარს თქვენს გაზეთში მეტად აქტუალური წერილი გამოქვეყნდა – **„გაძვირება ტარიფის შეუცვლელად“, რომელიც ჩვენში ბუნებრივი აირის პრობლემებს ეხება. არ ახალია, რომ ბუნებრივი აირის ხარისხი ჩვენში ვერ პასუხობს როგორც მოსახლეობის, აგრეთვე ეგრეთ წოდებულ „კომერციული“ ობიექტების ინტერესს. მეწარმეობა „კომერციული“ კარგად ჟღერს, მაგრამ მის უკან უამრავი მცირე და საშუალო მეწარმეებია, რომლებისთვისაც ბუნებრივი აირის ტარიფი ბევრად დიდია, ვიდრე მოსახლეობისთვის. ალბათ, ბევრმა არ იცის დღეს რაიონებში კომერციულ ობიექტებისთვის ტარიფის კიდევ უფრო გაზრდა იგეგმება და ახალ ხელშეკრულებებს სთავაზობენ მეწარმეებს. მინდა მივმართო ენერგოომბუდსმენს – ეს ქართველ მეწარმეობას დაღუპავს! სად არის შეპირებული და დეკლარირებული „დერეგულირება“ (გაზი ასარჩევად), რა დროს პოლიტიკური მიტინგების ჩატარებაა, სადაც ხელისხელჩაკიდებული „ნაცები“ იდგნენ (ჩამოყვანილი, გაბრუებული ხალხი) და გაჰყვიროდნენ, გაზპრომი არ გვინდაო, ამ დროს მთელ ევროპას უნდა. ჩვენ რა, წითელი კოჭები ვართ?**

ინფორმაციისთვის, გაზპრომის გაზი წვით ბევრად სჯობს აზერბაიჯანულ გაზს. თავის მხრივ, ირანული გაზი კიდევ უფრო უკეთესია. გამგონმა გაიგოს ,ჰკითხეთ ნებისმიერ პურის მცხობელს, რამდენ ხანში აცხობდნენ პურს რუსული გაზით და რამდენ ხანში ცხვება ახლა, თანაც, ისეთი მრიცხველები გვაქვს (ევროპაში რომ არ დგას), რომელსაც კოეფიციენტები ემატება, ეს ხომ დაცინვაა. ამიტომაცაა საქართველოში შექმნილი პროდუქცია არაკონკურენტუნარიანი. გაივსო დახლები მეზობელ ქვეყნებში შექმნილი პროდუქციით, ესაა მეწარმეობის ხელშეწყობა? ჰკითხეთ გაზზე მომუშავე ახალი ავტობუსების მძღოლებს, რამდენი უნერიათ საპასპორტო მონაცემი გაზის ხარჯვისა და ორმაგად მეტს რომ მოიხმარს! როდესაც ფასების მომატებაზეა საუბარი მომსახურებაც უნდა იზრდებოდეს და ხარისხიც. ასეთივე მდგომარეობაა წყალზეც – კომერციული წყლის ფასი საქართველოში ისედაც მაღალი იყო და კიდევ რამდენიმე თეთრის მომატება დანაშაულია . ამ კომპანიის ქართველი მესაკუთრეები ნუთუ საქართველოში არ ცხოვრობენ და თავიანთი თვალით ვერ ხედავენ ამ პრობლემებს? ისინი ხომ ასე ანგრევენ ქართულ ეკონომიკას!... დიახ, ხელის შეწყობის ნაცვლად – ანგრევენ!

მ. იაშვილი, მ.ბარამიძე
(მეწარმეები)

გინდ თეთრი იყო, გინდა წითელი...

ეროვნული სულის გამოხატულება

„ქართულ ღვინოში იმდენი სულია, იმდენი სიამაყე... ქართველებს ღმერთისა სწამთ, სწამთ ვაზისა, სწამთ ყურძნისა, იმისაც სწამთ, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ასე რომ, ბევრი მხრივ, ქართული ღვინო ქართული სულის გამოხატვაა“, – ესაა ევროპაში ერთ-ერთი ცნობილი გვარის წარმომადგენლის ედუარდ კუანტროს სიტყვები.

თუ რამდენად სამართლიანია ისინი, ამის განსჯა თავადაც შეგიძლიათ, პატივცემულო მკითხველო, მაგრამ აქვე საგანგებოდ იმასაც აღვნიშნავთ, რომ ბატონი ედუარდ კუანტროს აზრი ღვინის თაობაზე ერთობ სარწმუნოა თუნდაც იმ მიზეზით, რომ მის გვარს ალკოჰოლის ისეთი საქვეყნოდ ცნობილი ბრენდები ეკუთვნის, როგორებიცაა კონიაკი „რემი მარტინი“ და ლიქიორი „კუანტრო“. თანაც იგი დიდი ფრანგი მწერლის ფრანსუა რაბლეს შთამომავალია, რაც თავისთავად მრავლის მთქმელი გარემოებაა და შარშან წლის დასაწყისში საქართველოში თავადაც იყო ჩამოსული და ჩვენებური ღვინოები, რომ იტყვიან, ადგილზევე დააჭაშნიკა.

გარდა ამისა, ბატონი ედუარდ კუანტრო მსოფლიოში კულინარიული წიგნების ერთადერთი საერთაშორისო დამოუკიდებელი კონკურსის „ჰურმან უორლდ კუკბუკ ევარდსის“ დამაარსებელია. აღნიშნული კონკურსი, რომლის ჟიურის თავმჯდომარე თავად ბატონი ედუარდ კუანტროა, 1995 წელს მსოფლიოში უდიდეს მაინის ფრანკფურტის წიგნების ბაზრობის ფარგლებში დაარსდა.

დეკემბრის მიწურულს პარიზში გამართულ კონკურსში ნომინაციაში, „2016 წლის საუკეთესო წიგნი ღვინის შესახებ“ გაიმარჯვა ნიუ-იორკში მცხოვრები ქალბატონ **ელის ფირინგის** ნაშრომმა „ღვინისადმი სიყვარულით: მსოფლიოში ღვინის უძველესი კულტურის ქვეყანაში ჩემი ოდისეა“ გაიმარჯვა.

ქალბატონი ელის ფირინგი საქართველოს პირველად 2011 წელს ესტუმრა და მას შემდეგ შვიდჯერ იყო ჩამოსული, ამდენად წიგნში შესული მასალის შესაგროვებლად მას საკმაოდ დიდი დრო და კარგი შესაძლებლობები ჰქონდა.

წიგნის „ღვინისადმი სიყვარულით: მსოფლიოში ღვინის უძველესი კულტურის ქვეყანაში ჩემი ოდისეის“ პრეზენტაცია შარშან ნოემბერში ნიუ-იორკში გამართულ ნატურალური ღვინის საერთაშორისო გამოფენაზე „რევ ვაინ“ გაიმართა. როგორც ლიტერატურული მიმომხილველები აღნიშნავენ, მის მაღაზიების დახლებზე გამოჩენას მრავალი სპეციალისტი სომელიე (**რესტორნებში ღვინის ექსპერტი – რედ.**) და, უბრალოდ, ნაღდი ღვინის ჭეშმარიტი მოყვარული ელოდა. მისდამი უდიდეს ინტერესს თუნდაც ის ფაქტიც მოწმობს, რომ წიგნიდან ნაწყვეტები საქვეყნოდ ცნობილმა გამოცემა „ნიუ-იორკ თაიმსმა“ დაბეჭდა.

კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიაზე ჟიურის თავმჯდომარემ ედუარდ კუანტრომ საგანგებოდ აღნიშნა, რომ, მისი ღრმა რწმენით, ქალბატონ ელის ფირინგის წიგნი ნატურალური ღვინის ყველა დამფასებელს მოეწონება.

– ქართული ღვინო ძალიან კარგადაა აღწერილი. წიგნში ღრმა დასკვნებია გამოტანილი მისი ღირებულების, ასევე პრობლემების შესახებ და, რაც მთავარია, ლაპარაკია იმის თაობაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ყოველივე ამას ერთიანად ღვინის კულტურისთვის, – აღნიშნა მან.

აღსანიშნავია, რომ კონკურსის „ჰურმან უორლდ კუკბუკ ევარდსის“ მიზანია სპეციალისტებისა და რიგით მკითხველთათვის კულინარიისა და ღვინის შესახებ ყოველწლიურად ათიათასობით გამოცემაში საუკეთესოთა მიგნებაში ერთგვარი მეგზურობის გაწევა და შერჩევაში დახმარების გაწევა. კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწყებული პრემიები კი სხვადასხვა ქვეყნის ავტორებს წიგნის საერთაშორისო ბაზარზე შეღწევისა და დამკვიდრების შესაძლებლობას აძლევს. მის ფარგლებში არაერთი ეროვნული და რეგიონალური კონკურსი ტარდება, რომელთა მიზანია სხვადასხვა ნომინაციაში გამორჩეულთა გამოვლენა.

ოთარ ტურაგელიძე

◎ სადღეისო საწუხარი

ვერდიქტი

კაცობა რაში გარგია,
ანდა ნამუსის ქუდი,
თუ სხვას რომ თათხავ:
„კა-არ-გია“,
შენ თუ გლანძღავენ:
„ცუ-უ-დი“?!
ბევრი გაჩხირე ხიფათში,
როგორც ღობეში ჩხირი,
დღეს კი მოგადეს სიფათში,
და, გამლახესო, ჩივი.

* * *

რა დასკვნა ბრძანა თემიდამ ამ ცემა-ტყეპის თემიდან?

* * *

იგივე, რასაც ვამბობდით ხალხური სიბრძნის
წყალობით:
„აწუხებთ ენით დაკოდილთ ჭრილობა ყიამყრალობის!“

ქუთა თელია

◎ ანეკდოტები

— რომელია ყველაზე არაკალორიული საჭმელი თუ იცი?
— ის, რომელსაც კაცი თვალით ჭამს...

* * *

თუკი ბარში უცნობმა ქალიშვილმა გაგიღიმათ, სავარაუდოა, რომ მას ფული არა აქვს.
ხოლო თუ პასუხად თქვენც გაუღიმეთ, სავარაუდოა, რომ თქვენ ფული ჯერ კიდევ დაგრჩათ.

* * *

— ყველაზე მეტად ამქვეყნად სტომატოლოგებისა და კბილის ექიმების მეშინია.
— კარგი, ბატონო, სტომატოლოგების შიში გასაგებია, მაგრამ სიბნელისა რატომღა გეშინია?
— აბა ვინმემ იცის, რამდენი სტომატოლოგი იმალება მაგ სიბნელეში?

* * *

სტუდენტი და გამომცდელი:
— იცი?
— ვიცი.
— რა იცი?
— საგანი ვიცი.
— რომელი საგანი?
— რომელსაც ვაბარებ.
— და რომელ საგანს აბარებ?
— თქვენ რა, პატივცემულო, შარზე ხართ?!

* * *

დედა საყვედურობს თავისი ვაჟიშვილის მათემატიკის მასწავლებელს:
— ქალბატონო თამარ, როგორ მიეცით ბავშვს ამოცანა, სადაც ბოთლი ლუდი 2 თეთრი ღირს?! ჩემი ქმარი ისე აღელდა, მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს!

◎ გამოფენა

პორტრეტის უზაღო ოსტატი

მე-20 საუკუნის დიდებულ ქართველ მხატვართა ბრწყინვალე პლეადაში, სადაც თითოეული შემოქმედი თანამოძმეთაგან განუმეორებელი ინდივიდუალობითაა გამორჩეული, ალექსანდრე ბაჟბეუკ-მელიქოვი უდავოდ ერთ-ერთი **გამორჩეული ხელოვანია.**

ეთნიკურმა სომეხმა, სულით ხორცამდე თბილისელმა მხატვარმა მთელი ცხოვრება საყვარელ ქალაქში გაატარა, სადაც უზადო შემოქმედებით თავისი ამქრის წევრებთან ერთად მყარი საფუძველი შეუქმნა ახალი ქართული ფერწერის განვითარებას.

ალექსანდრე ბაჟბეუკ-მელიქოვის შემოქმედებითი მემკვიდრეობა, მისი ესთეტიკური ფასეულობები და გამორჩეული მხატვრული გამომსახველობა დღესდღეობითაც ქართული სახვითი ხელოვნების ერთ-ერთ გამოკვეთილ მწვერვალად რჩება.

მხატვრის დაბადებიდან 125 და გარდაცვალებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ნამუშევართა გამოფენა საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, სომხეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსა და სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის მხარდაჭერით 10 იანვარს გაიხსნა.

გამოფენაზე წარმოდგენილია ალექსანდრე ბაჟბეუკ-მელიქოვის საქართველოში დაცული ტილოები საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან (მათ შორის, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმიდან და დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეიდან), გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმიდან, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა

და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებიდან, ასევე კერძო კოლექციებიდან.

გამოფენა 24 თებერვლის ჩათვლით გაგრძელდება.

ნინო ალექსანდრია

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

◎ რას არ გაიგებ!..

ბეირუთის აეროპორტში ფრინველები მომრავლდნენ

ლიბანის დედაქალაქის **აეროპორტს პრობლემა შეექმნა.** ბეირუთის მთავარ აეროპორტში ფრინველები მომრავლდნენ, რაც თვითმფრინავების უსაფრთხო აფრენასა და დაშვებას აფერხებს. გასულ სამშაბათს „ახლო აღმოსავლეთის ავიახაზების“ კუთნილ თვითმფრინავს ფრინველების გუნდი შეასკდა, რამაც ავარიული სიტუაცია შექმნა. ფრინველების მომრავლების მიზეზი მეზობელ რაიონში მდებარე ნაგავსაყრელი გახდა, რომლის დახურვაც გარდაუვალი გახდება.

ფილიპინელებს უფასო პრეზერვატივებით მოამარაგებენ

ფილიპინებში ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებს უფასოდ დაარიგებენ. უფასო პრეზერვატივებს 6 მილიონამდე ქალი მიიღებს. პრეზიდენტ დუტერტეს განცხადებით, ამ გზით ქალები თავს არასასურველი ფეხმძიმობისგან დაიცავენ. პრეზიდენტის ინიციატივას წინააღმდეგობა რომის კათოლიური ეკლესიისგან შეხვდება, რომელიც ფილიპინებში უდიდესი გავლენით სარგებლობს. ქვეყნის მოსახლეობის 80 პროცენტი კათოლიკეა.

როგორ აგებენ ასფალტს ავსტრალიაში?

სამხრეთ ავსტრალიაში გადაღებულმა კადრებმა სოციალური ქსელები დაიპყრო. ვიდეო 2 კვირის განმავლობაში 14 მილიონამდე ადამიანმა ნახა. ის ქალაქ მურშია გადაღებული, სადაც ასფალტს არნახული სისწრაფითა და დღემდე უცნობი ტექნოლოგიით აგებენ. 5-კილომეტრიანი მონაკვეთის მოასფალტებისთვის 2 დღე და 443 ათასი დოლარი გახდა საკმარისი.

მეცნიერებმა მთვარის ასაკი დაადგინეს

კალიფორნიის **უნივერსიტეტის** **მეცნიერების მტკიცებით, დედამიწის თანამგზავრი სულ მცირე, 4,51 მილიარდი წლისაა.** მთვარის ასაკის დადგენაში მეცნიერებს კოსმოსური აპარატი „აპოლონ-14“ დაეხმარა, რომლის მეშვეობითაც ზედაპირული ქანების შესწავლა გახდა შესაძლებელი.

იტალიელ ლამაზმანს სახეში გოგირდმჟავა შეასხეს

იტალიელ ლამაზმანს **ჯესიკა ნოტაროს ყოფილი ბოიფრენდი სასტიკად გაუსწორდა.** მის „რომანია 2007“-ის გამარჯვებულ გოგონას მან სახეში გოგირდმჟავა შეასხა. შედეგად, 28 წლის გოგონას ორივე თვალი დაუზიანდა. ის ახლომდებარე კლინიკაში გადაიყვანეს. თავდამხსმელი პოლიციამ დააკავა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7395; ევრო - 2.8820;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3225;
100 რუბლი - 4.5544; თურქული ლირა - 0.7108;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5159;
1000 სომხური დრამი - 5.6543.

ამინდი 13 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე -4	დღე +9
მთიანი რაიონები -	ღამე -12	დღე +3
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +1	დღე +7
მთიანი რაიონები -	ღამე -8	დღე +3
თბილისი:	ღამე -2	დღე +6

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE